გაზეთი ბეჭდავს, „ვეფხვია" ეწერება

ვეფხვია

№91 (847) 9 - 10 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თვეა

რატომ ეშინიათ „ოცნებასა" და ბურჯანაძეს სალომე ზურაბიშვილის

გვ. 3

სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელი იყო, მეორე ტური მართლაც დანიშნულიყო და საარჩევნო რინგზე ერთმანეთის პირისპირ ბურჯანაძე და ზურაბიშვილი აღმოჩენილიყვნენ, რაც „ანზოროვნასთვის" სრული ფიასკო იქნებოდა — „ოცნების" ამომრჩეველი, ქვეყანაც რომ დაიქცეს, ნინოს, ცხადია, ხმას არ მისცემს. ამასთან, თავისუფალ დემოკრატებსა და კოალიციაში შემავალ რესპუბლიკელებს, პუტინისადმი კეთილგანწყობილ ბურჯანაძეს, ბუნებრივია, ევროპული ყაიდის ზურაბიშვილი ურჩევნიათ. აქვე გასათვალისწინებელია ამომრჩევლის ის 40 პროცენტი, რომელმაც 2012 წლის პირველ ოქტომბერს მხარი ნაციონალებს ევროპული კურსის გამო დაუჭირა ანუ ეს ორმოცი პროცენტი მეორე ტურში, ეჭვგარეშეა, მხარს ზურაბიშვილს დაუჭერდა.

ხათუნა ბერძენიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად ინიშნება?

ბრძოლა „პირველი არხისთვის" — ნაციონალები აკრძალულ იღეთებზე გადავიდნენ?!

გვ. 5

ქართლოს ღარიბაშვილის საპრეზიდენტო ფორმულა

„ერთი ივანიშვილი და ორი ღარიბაშვილი" ანუ „ფული, სამართალი და პირველი პოლიციელი"



გვ. 9

დავით სერგეენკო ნაციონალების ტყვეობაშია?!

როგორ ცეხავენ „უფასო დაბლოვევიდან" ფულს ნაციონალები

გვ. 7

დიტო გელოვანი

მხრებში მოხრილმა მოხუცმა კაცმა, რომელმაც გვერდით ჩაგვიარა, ნაბიჯი შეანელა, იატაკზე დადგა ნახშირის ცარიელი ვედრო და თუთუნი შემოგვთავაზა. ყველამ, გარდა სტეპკოსი, რომელსაც ფიზიკურად არ შეეძლო მუქთზე თავის შეკავება, უარი ვუთხარით. ვიდრე სტეპკო სამსუნის თუთუნს არაჩვეულებრივი სისქის სიგარეტად გაახვევდა, მოხუცმა გვითხრა, რომ ჩვენ სტამბულში გვაგზავნიდნენ, იქიდან კი ან საფრანგეთში, ანდა ბრაზილიაში, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტებს.

(ოთარ ჩიჯავაძე, „თვითმკვლელები“)

ის, რაც არ უნდა ხდებოდეს

ემიგრაციის თემა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა მგონია, რომ მუქთის თემა უფრო აქტუალურია. გადახედეთ პარლამენტის შემადგენლობის 90 პროცენტს და თავად დარწმუნდებით, არაფერი გაუკეთებიათ, არაფერი შეუქმნიათ, გაკეთებული გააფუჭეს, შექმნილი მოსპეს, პარტიებში შეძვრნენ, სიებში ჩასხდნენ და პულტები მოიმარჯვეს, კანონებს არც წერენ და არც კითხულობენ, მაგრამ ყველაფერი მუქთად აქვთ, მაგრამ ყოველივე მუქთი ხომ ვიღაცის ხარჯზეა? აი, შენ რომ გადასახადებს იხდი, იმ გადასახადებით ნაყიდ პულტებს იქნევენ და უკვირთ, რატომ ჰქვია სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას ქალის სახელი. ჩუმად უკვირთ, არც ისეთი სულელები არიან, საკუთარი სისულელე რომ ვერ დამალონ, მათი ჭკუა კი მხოლოდ ინსტინქტების დონეზეა, ინსტინქტი კი ის არის, რომ ჰქონდეთ ყველაფერი ისე, რომ თვითონ არაფერი აკეთონ.

ამ ცამეტი წლის წინ სახლში ირლანდიური სეტერის ორი თვის ლეკვი მივიყვანე — ჯინა. სანამ მეოთხე სართულზე ავიდოდი, მეზობელი შემხვდა, რომელსაც მამაჩემი გაიძვერა გოგიას ეძახის. ჰოდა, ამ გაიძვერა გოგიამ ლეკვის შესახებ მკითხა, დედალია თუ მამალიო. როდესაც პასუხი მიიღო, მაშინვე პირობა ჩამომართვა, რომ ჯინას ლეკვებიდან (რომლებიც ერთი წლის შემდეგ უნდა დაბადებულიყვნენ) ერთ ლეკვს აუცილებლად მას ვაჩუქებდი. რამდენიმე დღის შემდეგ სხვა მეზობელმა მკითხა — გოგიას ლეკვს შეპირდიო? კი-მეთქი. მაგას უკვე კლიენტიც ნაპოვნი ეყოლებაო, — გაეცინა.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების და რამე... გოგიას სულს ერთხელ მუქთის სიყვარული დაეჩნდა ცხოვლად და მას შემდეგ სულ ასეა — მუქთზეა გაფაციცებული.

ეს ისტორია მივიწყებული მქონდა და, ბიძინა ივანიშვილის მორიგი პრესკონფერენცია რომ არა, ალბათ, არც გამახსენდებოდა. ერთი გაურკვეველი ჟურნალის წარმომადგენელმა კითხვა რომ დასვა, მაშინ გამახსენდა. აიო, ბატონო ბიძინაო, გუშინ „ბლუმბერგს“ რომ უთხარი, ჩემი ფულის 90 პროცენტი საზოგადოებრივ საქმიანობას უნდა მოვახმაროო, მაინტერესებს, რომელ ენჯეოებს დააფინანსებო — თქვა და გაინაბა, ელოდებოდა, როდის ეტყოდა ბიძინა, მაგას რად უნდა კითხვა, ჩემი ქონების 90 პროცენტის 95 პროცენტს შენს ენჯეოში ჩავდებ, იმ 5 პროცენტზე კიდევ, დავფიქრდები, შესაძლოა, ეგეც შენს ენჯეოს მოვახმაროო.

ენჯეოშნიკი ბჭობდა, ბიძო იცინოდაო — ნათქვამია. „თქვენ რა შუაში ხართ?“ — სერიოზულად სასაცილო იყო ბიძინას განაჩენი. თქვენ ვის დაკარგვიხართო — სრულიად უსაქმურთა საძმოს უთხრა, რომელსაც ოფიციალურად, სამოქალაქო საზოგადოებად მოიხსენიებენ ხოლმე.

მომინდომეს მთვარეზე კოოპერატივის გახსნა! ეს ძველი გამოთქმაა, 80-იანი წლების მიწურულის. აღნიშნული გამოთქმა ახლა რომ იბადებოდეს, ასეთი ფორმა ექნებოდა — მომინდომეს მთვარეზე სააქციო საზოგადოების გახსნა.

საერთოდ კი, ეს „სამოქალაქო საზოგადოება“ დიდად არ განსხვავდება სააქციო საზოგადოებისგან — იმას მეტი ხმა აქვს, ვინც მეტ აქციას ფლობს, აქცია კი სხვა არაფერია, თუ არა ფული ანუ დივიდენდი. ოღონდ, ბევრი აქციის მოსაპოვებლად ბევრი უნდა იშრომო, შრომა კი, ძირითადად, ტლიკინში გამოიხატება. რაც მეტ სისულელეს იტლიკინებ, მეტი აქციის მფლობელი შეიქმნები, მეტი აქციის ქონა კი, მეტი ხმის უფლებას გულისხმობს, მეტი ხმა კი ის მუსიკაა, რომელზეც სხვა აქციონერებს აცეკვებ.

მაგრამ, ხანდახან, ზომაზე დიდი სისულელე წამოსცდებათ ხოლმე და მაშინ კი დაჭყეტს თვალებს და დაცქვეტს ყურებს არასამოქალაქო საზოგადოება და რიტორიკულად გაიფიქრებს: „ე... თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ?!“

ვაღიარებ, არასამოქალაქო საზოგადოების ყველაზე სკაბრეზულ ნაწილს მივეკუთვნები და მათ შესახებ, ცოტა არ იყოს, განსხვავებული ზმნებით და ზმნიზედებით ვფიქრობ. აქ ვერ ვიტყვი, მაგრამ დიდი შოთა რუსთაველის (არასამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის) სიტყვებით მიგახვედრებთ: „კოკასა შიგან რაცა დგას...“, დიდებული სიტყვებია. ესეც მაგარია: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“

თუმცა, ისინი ამას ვერ ხვდებიან, ბაქოს ზოოპარკის ბინადარი ბეჰემოთისა არ იყოს, კანი არ ჰყოფნით, მაგრამ კანი სინდისი არ არის, სადღაც რომ გქონდეს და სადღაც არა. თუ სინდისი სადღაც არ გაქვს, ე.ი. არსადა გქონია და ერთი-ორჯერ და სადღაც-სადღაც წარმოთქმული მაღალფარდოვანი სიტყვები მორალსა და ეთიკაზე მხოლოდ ფარისევლობაა.

ორი კვირა რაჭაში გახლდით და რაღაც დაგვიანებით ვნახე, რაღაც დაგვიანებით მოვისმინე... მაგალითად, მხოლოდ გასულ კვირაში ვნახე „ინფო 9“-ის ჟურნალისტის შეპაექრება ცნობილ მედიაექსპერტთან და ქართული ეთიკური ჟურნალისტიკის ბებიასთან, სადაც ეს უკანასკნელი ჟურნალისტს უმტკიცებდა, მართალია, ნიჭიერები, ობიექტურები, მუყაითები და ოპერატიულები ხართ, მაგრამ თქვენი დრო წავიდა, თქვენი საჭიროება აღარ არის და ამიტომ ქუდები უნდა დაიხუროთ და... დაიხუროთო.

ასე წარმოდინდება ხოლმე კოკებიდან, მასა შიგან მდგარი სიბინძურე. კოკაში სიბინძურეს რა უნდა, მაგრამ რა უნდა ადამიანში სიმყრალეს?! ერთხელ რომ ცხოვლად სულს დააჩნდების და ერთი დამპალი ვაშლი რომ ხარ... ახტუნგ, ახტუნგ! გინდა ახტი, გინდა დახტი, ენჯეო მაინც ენჯეოა. სააქციო საზოგადოებას რომ ქმნიან და „მეცხრე არხის“ აპარატურაზე ბიძინას რომ ეჩალიჩებიან, ეგ იმას მაგონებს, გაიძვერა გოგიამ დაუბადებელი ლეკვი რომ მთხოვა და უკვე კლიენტიც რომ ნაპოვნი ჰყავდა.

პურის ქარხნის დათრევა რომ გინდა, ერთხელ მაინც ხომ უნდა გქონდეს ნანახი თონე, თუნდაც ტრასაზე, შროშაში! ნუ, ახლა ის არ ითვლება, ვებ-გვერდი რომ შექმნეს — „მე, რეპორტიორი“ (რომელსაც არავინ კითხულობს და რომელზეც არავინ წერს), რომელსაც ამაყად აწერია უკვდავი სიტყვები: „ყველას შეუძლია გახდეს მოქალაქე-ჟურნალისტი“.

შენდობა მაინც სთხოვეთ წამკითხველს, თუ ვინმე შემთხვევით მაგ ვებ-გვერდზე შემოეხეტება!

რას გეტყვით, იცით? ყველა მოქალაქე ვერ შეძლებს, ჟურნალისტი გახდეს, აი, ყველა ჟურნალისტი მოქალაქე რომ გახდებოდეს, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა. არადა, ყველას ექსპერტობა უნდა, თანაც მუქთად, არა — სწავლა, არა — განათლება, არა — ფიქრი და არა — გამოცდილება. გნებავთ ნიუსი მუქთად? აი, ისიც: „შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯმენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს“ ესტუმრა... სტუმრები ადგილზე გაეცნენ სამხედრო მოსამსახურეებისთვის საკვების მომზადებისა და ჯარისკაცებისთვის მზა კერძების მიწოდების პროცესს, ასევე სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკვები პროდუქტების სათავსოები, საწყობები და სასადილო ინვენტარი დაათვალიერეს. სტუმრები სადილზეც დარჩნენ და სამხედროებთან ერთად დააგემოვნეს კერძები“.

ვერ გაძღა მაგათი მუცელი — სადილზეც დარჩნენო!.. ბარემ, აბანოში შეყოლოდნენ და მანამდე იქაც, სადაც ექსპერტები თავისი ფეხით დადიან. ანდრო ბარნოვი რომ არის, უსაფრთხოების საკითხებს რომ სხლავს და ბოლო დროს, მეღვინეობითაც რომ დაინტერესდა... „ახლა დამთავრდა რიგის კონფერენცია და ბოლო დღეს იყო ჩვენი პრემიერის გამოსვლა. დეტალების მოყოლა ეთიკის ნორმებს ვერ უთავსდება, ამიტომ თავს შევიკავებ. თუმცა, ამის ართქმა არ შეიძლება: აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრემიერი შინ რომ წინა მთავრობას აგინებს, გარეთ სწორედ ამ წინა მთავრობის დამსახურებების მითვისებას ცდილობს! მისი გამოსვლის მიხედვით, ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულება, რუსეთთან უვიზო რეჟიმი და WTO-ში რუსეთის მიღება ახალი მთავრობის დამსახურება ყოფილა.. ასევე, ბიზნესის გათავისუფლების შემდეგ მსოფლიო ბანკის რეიტინგში მე-9 ადგილზე გადასულა საქართველო“ — ბარნოვის სიტყვებია და... კაცო, რა ყოფილა ეს ბიძინა, ჰა?! დიდგორის ომს ითვისებს, გარნისის ბრძოლას კი მიშას ტენის.

ანდრო ბარნოვი ნამდვილად ექსპერტია, ოღონდ — დღევანდელი ქართული გაგებით.

ოჰ, ნინო თარგამაძეევ, ჩემი შვილის ნათლია რომ არ იყო, მე ვიცი, რასაც გეტყოდი მაგ კვერცხის გაექსპერტებაში შენს მიერ შეტანილი ფასდაუდებელი წვლილის გამო.

ანდრო ბარნოვი ექსპერტია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ იგი არ დაბადებულა ექსპერტად ისევე, როგორც ბიძინა ივანიშვილი არ დაბადებულა პრემიერ-მინისტრად. „ის მხოლოდ პოლიტიკიდან მიდის და ეს არის მკაფიო. მიღებულია გადაწყვეტილება და მინდა ყველას შევახსენო, რომ ბატონი ბიძინა არ დაბადებულა პრემიერ-მინისტრად, ამაში ტრაგედია არ არის, პირიქით, მალე ყველა ვნახავთ, რომ მისი ახალი ამპლუა უფრო ეფექტური იქნება და მნიშვნელოვნად მოემსახურება ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებს, ვიდრე გარკვეულწილად, შეზღუდული პრემიერის თანამდებობიდან“, — თქვა გასულ კვირაში პაატა ზაქარეიშვილმა, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები.

მივიდა ბიძინა პოლიტიკაში და გაყარა ნაცები, მივიდა მთავრობაში და გაყარა ბაცნები, მივა საზოგადოებრივ სექტორში და გაყრის ექსპერტებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ექსპერტებად დაიბადნენ. მთავარია, იმ სახინკლეში არ შემოვიდეს, სადაც მე და ჩემს მეგობრებს გვიყვარს ლუდის სმა, თორემ ჩვენც გაგვყრის თეფშზე დაღვრილი ხინკლის წვენის გამო და, ღირსებიც ვიქნებით, რამეთუ ხინკლის წვენი კატალიზატორია პროცესისა, რომლის დასასრულს ხვდები, რომ „ისევ ის ბითური ხარ, რაც მანამდე იყავი“.

ისე, ბიძინა არც მილიარდერად დაბადებულა და ჰოი, როგორ უნდათ ენჯეოშნიკებს, რომ მან, მათდა სახეიროდ, წვრილ მეწარმეთა სიაში გადაინაცვლოს! უნდათ და, შეეკითხე თუ გინდა! მაგრამ „უნდა“ გრამაფონშია. მიშასაც ბევრი რამ უნდა, მაგრამ ეგრე სად არის? გასულ კვირაში მყინვარწვერის დაპყრობა უნდოდა, მაგრამ ვერ დაიპყრო... სამაგიეროდ... „საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე გამოცდილ მთამსვლელთან ერთად, მყინვარის გარშემო მთები და პლატო დალაშქრა. მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ლაშქრობაში დეპუტატი გოგა ხაჩიძე და რუსი საზოგადო მოღვაწე ანდრეი ილარიონოვიც მონაწილეობდნენ. მათ გერგეთის სამების ეკლესიიდან მეტეოსადგურის საბაზო ბანაკამდე 15 კილომეტრი ფეხით გაიარეს. გზაში პრეზიდენტს უცხოელი ტურისტების რამდენიმე ჯგუფიც შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ბეთლემის მცირე ტაძარიც მოილოცა, რომელიც 4100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს“.

ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ანაკლიის მშენებლობას ედუარდ სააკაშვილი დაასრულებს, როგორც დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დაწყებული.

აღნიშნული ინფორმაცია ჩემმა მეგობარმა სააგენტომ სააკაშვილის ადმინისტრაციის დიდი ხვენნა-მუდარის შემდეგ გაავრცელა (ჯანდაბას მაგის თავიო), ეგეთ სისულელეებს, როგორც წესი, არ ავრცელებს ხოლმე. აბა, სად სააკაშვილი და სად მილოცვა? ესეც ნახეთ: „პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ლაშქრობისას მყინვარზე ტემპერატურა -15^{0} იყო, ხოლო ბარში სითბო +30^{0}-ს აღწევდა“.

აზრზე ხარ? პრეზიდენტის ადმინისტრაცია თერმომეტრით დარბის და ტემპერატურას ზომავს. საინტერესოა, ტენიანობა რამდენი გრადუსი იყო და წნევამ რამდენი ამპერი შეადგინა? ასევე საინტერესოა, რამდენი მერცხალი მოიყვანს გაზაფხულს...

გაზაფხულს მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოიყვანს, როდესაც აღარ იქნება ეს პრეზიდენტი, აღარ იქნებიან ეს ექსპერტები და აღარ იქნებიან ეს პარლამენტარები — ქავთარაძე-ყეენიშვილები და მალაშხია-ნიკლაურები. ყველა გზა მაქეთ მიდის. მაგალითად, გასულ კვირაში გადაწყდა, რომ ელჩების დანიშვნაში პარლამენტი ვეღარ ჩაერევა. ასე, ნელნელა უნდა ჩამოართვა ფუნქციები და ალბათ ვერც მიხვდებიან, ფუნქციები რომ ჩამოართვეს. აი, როგორც კი პრივილეგიებს ჩამოართმევ, მაშინ ნახე ყიჟინა და ჟივილ-ხივილი, დედა შვილს ანუ ნაზი არონია მარიამ საჯაიას არ აიყვანს და გასულ კვირაში ახმეტის საკრებულოშიც იგივე ხდებოდა — შვილები ტიროდნენ, დედებს ხელში აყვანას სთხოვდნენ და იყო ერთი ღრიანცელი. ეს ამბავი ნიუსის სახით გავრცელდა, სათაური კი ასეთი იყო — „ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარეს იმპიჩმენტი გამოუცხადეს“.

ახმეტა და იმპიჩმენტი!!! რას არ გაიგებ კაცი... თუმცა, არც ეს არის ნაკლები — „სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი ტექნიკური საკითხი იყო“... და ესეც — „გიორგი თარგამაძემ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახი მოინახულა“.

აქაც ზედმეტია კომენტარი, მაგრამ ეგრე რომ გავყვეთ, ჰეეე, რამდენი რამ არის ზედმეტი, მაგრამ ვიტანთ, ჯერჯერობით, მაგრამ მოთმინების ფიალა სადაცაა გაივსება. გასულ კვირაში თინა ხიდაშელის მოთმინების ფიალა აივსო, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მთელი შანტრაბა მომავალი კვირისთვის დაკითხვაზე დაიბარა, მასთან ერთად კი, ინტელექტუალური და პროკურორული შანტრაბის თვალსაჩინო წევრი ნიკა გვარამიაც.

„თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ს მიზანმიმართულად ებრძვის“ — თავისი ჭკუით, სენსაციური განცხადება გააკეთა ნიკა გვარამიამ და ახლა ველოდები, როდის უარყოფს ან დაადასტურებს თინა ხიდაშელი, რომ მისი ბრძოლა მართლაც მიზანმიმართულია. განა არის რამე დასაძრახი მიზანიმიმართულობაში? ვფიქრობ, არაფერი. მე, მაგალითად, მიზანმიმართულად ვებრძვი იდიოტ ექსპერტებს, ნაციონალურ მოძრაობას, „ქართული ოცნების“ მედროვე ნაწილს (ეს ნაწილი 80 პროცენტს მაინც შეადგენს) და კარგი იქნება, თუ თინათინიც დაადასტურებს, რომ მისი ბრძოლა არის მიზანმიმართული.

გასულ კვირაში სააკაშვილმა მოუწოდა ივანიშვილს, მიზანმიმართულად გავიდეს ხალხში, თვითონ კი, როგორც იცით, მთაში წავიდა. ისიც გეხსომებათ, რომ სააკაშვილმა მანამდე წაიკითხა მოხსენება „სააკაშვილისა და ზებრას შედარებითი დახასიათება“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ იგი არ არის ზებრა. ამტკიცებდა მიზანმიმართულად, მაგრამ არადამაჯერებლად.

შესაბამისად, ივანიშვილი წავიდა რიგაში, ხალხში, სააკაშვილი კი წავიდა მთაში, ჯიხვებში. არადა, რა დროს მთა იყო? წადი, შენი-მეთქი, რომ ვუთხარი, მთა არ მიგულისხმია, არადა, ქართულად ვუთხარი. ეგეთი სიტყვები ყველაზე უკეთ სწორედ ქართულად მეხერხება, თუმცა, თუ საჭირო გახდება, თურქულადაც შევძლებ, მაგრამ სანამ დავით სერგეენკო დავით სერგეენკობს, აღნიშნული აქცია სრულიად ზედმეტია. ვინც სერგეენკოსა და იმ მათხოვარი თურქის შეხვედრა იხილა, სრულად დამეთანხმება.

აბა, მეტი რა ვთქვა? გადაახვიეთ და უყურეთ. გადაახვიეთ, უყურეთ და ერთად დავთვალოთ, რამდენს უნდა ავაცმევინოთ და რამდენს უნდა დავახვევინოთ. ბევრს, ძალიან ბევრს!!!

გასულ კვირაში საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებიც მნიშვნელოვანი იყო, ბევრის თქმა შეიძლება და ვერსიაც ბევრია. მაგას რა მოყვება, მაგრამ ერთი ციტატითაც შეიძლება დასკვნის გამოტანა. საზ. მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე: „დარწმუნებული ვარ, უშიშროების სამსახური არ არის ისეთი მოუმზადებელი, მსგავსი არასწორი ნაბიჯები გადადგას, მე, როგორც ძველ დისიდენტს 80-იან წლებშიც კი არ მიხილავს ასეთი უტაქტო რამ“.

მაგაშია საქმე, დავით გოგიბედაშვილი მწერლობას იბრალებს (რას იტყვის დოჩანაშვილი?), გოგა ხაჩიძე — მუსიკოსობას (რას იტყვის რობერტ პლანტი?), ხოლო ემზარ გოგოუაძე — დისიდენტობას.

რას იტყოდა მერაბ კოსტავა?

მერაბი მაგარი კაცი იყო, ძლიერი და კორექტული.

ჩემი კორექტულობა არ გაიშვა...

ყ.ყ.ყ. (ყველამ, ყველამ, ყველამ) თავის მხრივ, როცა ღრაჭა მიტრიალდა და წავიდა, ცხვირამ, მართალია, ჩუმი ხმით, მაგრამ მთლად დასრულებული ღრმა შინაარსით, ლანძღვა გინებით გააცილა იგი.

(ოთარ ჩიჯავაძე, „თვითმკვლელები“)

რატომ ეშინიათ „ოცნებასა“ და ბურჯანაძეს სალომე ზურაბიშვილის

ნიკა ჯანხოთელი

ქართულ დემოკრატიას კიდევ ერთი შავი დღე გაუთენდა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, „საქართველოს გზის“ ლიდერი და ქართულ პოლიტიკაში „ფრანგ პოლიტიკოსად“ სახელდებული სალომე ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ცესკო-მ კი არა, სასამართლომაც საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონ ზურაბიშვილს ქართული პოლიტიკა არ სწყალობს. არადა, თავიდან ყველაფერი ტრიუმფით დაიწყო — „ვარდების რევოლუცია“ ახალი „დამთავრებული“ იყო, გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა შოკისმომგვრელი გადაწყვეტილება რომ მიიღო და საქართველოში საფრანგეთის იმჟამინდელ ელჩს, სალომე ზურაბიშვილს ისტორიული სამშობლოს საგარეო საქმეთა მინისტრობა შესთავაზა. სხვა დროსა და სხვა სახელმწიფოში ეს შეთავაზება, ბუნებრივია, მსოფლიო სკანდალის საბაბი გახდებოდა, მაგრამ ზურაბიშვილის გამინისტრებას ცივილიზებული სამყარო არცთუ ხმაურით შეხვდა. უფრო მეტიც, ეს ნაბიჯი თავად ოფიციალურმა პარიზმაც არ გააკრიტიკა და, ალბათ იმიტომ, რომ იმხანად, სააკაშვილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების „დემოკრატიის ბიჭუნად“ ითვლებოდა. გარდა ამისა, საფრანგეთს ქართულ პოლიტიკაზე ფარული გავლენა ყოველთვის ჰქონდა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ გახდა — საომარი მოქმედებები საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის, სარკოზის უშუალო ჩარევის შედეგად შეწყდა. ამასთან, დღემდე აქტუალურია ე.წ. სარკოზის გეგმა. ნიშანდობლივია, რომ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის პირობებში, გადამწყვეტ მომენტში, ოფიციალური თბილისი და ოფიციალური მოსკოვი ერთმანეთს სწორედ ოფიციალური პარიზის მეშვეობით ეკონტაქტებიან.

ისე, ამბობენ, რომ ცხოვრებაში და, მით უმეტეს, პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება, ჰოდა, ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ სალომე ზურაბიშვილის შემდეგ, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობა საფრანგეთის კიდევ ერთმა მოქალაქემ — ბიძინა ივანიშვილმა დაიკავა. როგორც იტყვიან, საფრანგეთის ხათრით, ივანიშვილსა და ზურაბიშვილის საერთო ენის გამონახვა, წესით, არ უნდა გასჭირვებოდათ, მით უმეტეს, ბოლო წუთამდე არსებობდა განცდა, რომ ორ ქართველ „ფრანგს“ ერთმანეთის მიმართ სიმპათია ჰქონდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ცესკო-მ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა, ყველაფერი თავდაყირა დადგა ანუ გამოიკვეთა, რომ ივანიშვილს და, საერთოდ, „ოცნებას“ ზურაბიშვილის ეშინია. ამ „შიშის შექმნაში“ კი, გარკვეული წვლილი, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძემაც შეიტანა და აი, რატომ:

თავის დროზე, ანუ მაშინ, როცა სალომე ზურაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ და ნაციონალებთან ერთობ კოჰაბიტაციურადაც ცხოვრობდა. ჰოდა, როგორც მაშინ კულუარებში ითქვა, ზურაბიშვილმა ბურჯანაძის კაპრიზები არ დაიკმაყოფილა და ერთ-ერთ ქვეყანაში მისი პროტეჟე ელჩად არ გაამწესა. გაბრაზებულა „ანზოროვნა“, საიდანღაც ჩამოთრეულმა ზურაბიშვილმა ეს როგორ გამიბედა, „პურის პრინცესა“ არ ვიყო, თუ კუდით ქვა არ ვასროლინოო და მიშა „ენებით გაუბერია“, თუ სალომეს არ მოიშორებ, რამე შარში გაგხვევსო. მართალია, 2009 წელი აპრილის აქციების დროს მიშას წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ, მაგრამ თავის დროზე, ქალბატონი სალომე ბურჯანაძის მიმართ უკმაყოფილებას არ მალავდა და მისდამი მეგობრული დამოკიდებულებით არც ახლა გამოირჩევა. სამაგიეროდ, „ანზოროვნაა“ „შეწუხებული“, ზურაბიშვილის რეგისტრაციაში არგატარება კანონდარღვევაო.

მაშ ასე, რატომ ეშინია ბურჯანაძესა და „ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილის?

ბურჯანაძეს რომ ჰკითხოთ, უკვე საქართველოს პრეზიდენტია, უარეს შემთხვევაში კი, 27 ოქტომბრის შემდეგ, მეორე ტური დაინიშნება და პრეზიდენტი უეჭველი გახდება.

გავყვეთ მეორე ტურის ვერსიას: სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელი იყო, მეორე ტური მართლაც დანიშნულიყო და საარჩევნო რინგზე ერთმანეთის პირისპირ ბურჯანაძე და ზურაბიშვილი აღმოჩენილიყვნენ, რაც „ანზოროვნასთვის“ სრული ფიასკო იქნებოდა — „ოცნების“ ამომრჩეველი, ქვეყანაც რომ დაიქცეს, ნინოს, ცხადია, ხმას არ მისცემს. ამასთან, თავისუფალ დემოკრატებსა და კოალიციაში შემავალ რესპუბლიკელებს, პუტინისადმი კეთილგანწყობილ ბურჯანაძეს, ბუნებრივია, ევროპული ყაიდის ზურაბიშვილი ურჩევნიათ. აქვე გასათვალისწინებელია ამომრჩევლის ის 40 პროცენტი, რომელმაც 2012 წლის პირველ ოქტომბერს მხარი ნაციონალებს ევროპული კურსის გამო დაუჭირა ანუ ეს ორმოცი პროცენტი მეორე ტურში, ეჭვგარეშეა, მხარს ზურაბიშვილს დაუჭერდა.

ისე, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლო სალომე ზურაბიშვილის სარჩელს არ დააკმაყოფილებდა, კულუარებში არსებობდა მოლოდინი, რომ ცესკო-ს „შეცდომას“ სასამართლო გამოასწორებდა და ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების საშუალებას მისცემდა. ასეთ შემთხვევაში, პრემიერი ივანიშვილი, თუკი მასა და ბურჯანაძეს შორის ფარული გარიგება მართლა არსებობს, რომ „ოცნება“ პრეზიდენტობას ამ უკანასკნელს უთმობს, „ანზოროვნასთან“ თავს იმართლებდა, რა ვქნა, ცესკო-ში დავბლოკე, მაგრამ სასამართლოზე გავლენა არ მაქვსო.

ისე, ზურაბიშვილს კიდევ ერთი შანსი აქვს — საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციოში აპირებს და გამორიცხული არაა, პრეზიდენტობის კანდიდატად მაინც დარეგისტრირდეს.

თუკი ასე მოხდა, მაშინ 27 ოქტომბრის შემდეგ, ქართულ პოლიტიკაში მოვლენები, შესაძლოა, აბსოლუტურად ახალი სცენარით განვითარდეს ანუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი გახდეს. ივანიშვილი, როგორც ამბობს, მარგველაშვილის წაგების შემთხვევაში, პოლიტიკიდან იმაზე ჩქარა წავა, ვიდრე ფიქრობს. ჰოდა, სავსებით დასაშვებია, ზურაბიშვილის პრეზიდენტობის პირობებში პრემიერის სავარძელი ირაკლი ალასანიამ დაიკავოს, რაც ევრაზიულ კავშირზე ოცნებას, საბოლოოდ, ძირს გამოუთხრის და დასავლეთიც შვებით ამოისუნთქებს — საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერიც მკვეთრად დასავლური ორიენტაციის იქნებიან.

მოვლენების ამ სცენარით განვითარება ყველაზე მეტად ბურჯანაძეს გადაასხამს მდუღარეს და რუსეთზე მეოცნებე სხვა პოლიტსუბიექტებიც დადუმდებიან.

რაც შეეხება მიზეზს, რის გამოც ჯერ ცესკო-მ და შემდეგ საქალაქო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, რეგისტრაციაში არ გაატარა, ცესკო-ს განმარტებით, კონსტიტუცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებას უკრძალავს (სხვათა შორის, თავის დროზე, დაახლოებით, ანალოგიური საბაბით აუკრძალეს ნაციონალებმა ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ანუ ის, რაც ივანიშვილის შემთხვევაში მაშინ უკანონო იყო, ახლა, ზურაბიშვილის შემთხვევაში, რატომღაც კანონიერია?!) საიაკი, რომელიც სასამართლოზე ზურაბიშვილის ინტერესებს იცავდა, ამტკიცებს, რომ კანონის მიხედვით, კანდიდატად დარეგისტრირებას ორმაგი მოქალაქეობა ხელს არ უშლის, მით უმეტეს, ზურაბიშვილი მზადაა, საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი თქვას.

ერთი სიტყვით, სალომე ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ სასამართლო „პოლიტიკურად მსჯელობს“. სხვათა შორის, ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად არდარეგისტრირებაში გარკვეულ პოლიტიკურ ნიშნებს „ოცნებაშიც“ ხედავენ. ასე, მაგალითად, ერთ-ერთმა აქტიურმა ოცნებელმა, რომელიც ერთ-ერთი მინისტრის მრჩეველია, „ფეისბუქში“ საკუთარი უკმაყოფილება ასე გამოხატა: „ცესკო-მ მიქარა, სალომე კანდიდატად რომ არ დაარეგისტრირა!“ ამ საკითხისადმი თავშეკავებული უკმაყოფილება ეკა ბესელიამაც გამოხატა — ცნობილია, რომ ბესელია და ზურაბიშვილი დაქალობენ...

აი, ასე: პოლიტიკური თამაშები პოსტნაციონალურ ეპოქაშიც აქტუალურია. არადა, ისიც ფაქტია, რომ ზურაბიშვილი, რომელიც ბოლო წლებია, ერთ-ერთ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციაში მოღვაწეობს და ფრანგულ პოლიტიკასთანაც აქტიური ურთიერთობა აქვს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას „ჰაი-ჰარად“ არ მიღებდა ანუ გარკვეულ კონსულტაციებს გაივლიდა და, ალბათ, გარკვეული გარანტიებიც ჰქონდა, მაგრამ ქართული პოლიტიკა ხომ ლოგიკას არ ექვემდებარება...

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილის შემცვლელად მამუკა ბახტაძე განიხილება?

როგორც ინტერნეტსაიტი „თავისუფალი ზონა“ იუწყება, პრემიერის პოსტზე, ბიძინა ივანიშვილის შემცვლელად, მამუკა ბახტაძე განიხილება, რომელსაც ამჟამად საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის პოსტი უჭირავს. „თავისუფალი ზონის“ ინფორმაციით, ბახტაძეს რეკომენდაცია ივანიშვილთან უტა ივანიშვილმა გაუწია — უტა ივანიშვილი და მამუკა ბახტაძე ერთმანეთს საფრანგეთიდან იცნობენ. რკინიგზის გენერალური დირექტორი საფრანგეთში ერთ-ერთ ბიზნესსკოლაში სწავლობდა.

ბახტაძე ასევე ფლობს მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს. „თავისუფალი ზონის“ ინფორმაციით, ივანიშვილსა და ბახტაძეს შორის მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია. პრემიერ-მინისტრის შემცვლელად ასევე სახელდება ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც ახლახან მანანა ბერიკაშვილთან, თურმე, მეტყველებაში დაიწყო მეცადინეობა.

შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინ, ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი საინტერესო პიროვნება იქნება, თუმცა მისი ვინაობა არ დააკონკრეტა.

„თავისუფალი ზონა“

ბიძინა ივანიშვილი: „ევროპა ჩვენთვის მხოლოდ ვიზიტები და „გულაობა“ არ არის!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლიტვაში ვიზიტს წარმატებული უწოდა და აღნიშნა, რომ რიგაში თავს ისევე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

„ამ ვიზიტის და შეხვედრების კონკრეტული შედეგი თუნდაც ის არის, რაც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვაცნობა — შესაძლოა, კომისიის დაშლამდე ხელი მოეწეროს ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. აქამდე ჩვენ მხოლოდ ამ ხელშეკრულების პარაფირებისთვის ვემზადებოდით და აღნიშნული სიახლე ძალიან დიდი მიღწევაა. მათ დაინახეს, როგორ გავიმარჯვეთ არჩევნებში და მას შემდეგ როგორი სუფთა, დემოკრატიული ხელწერით ვაგრძელებთ ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის გზით სვლას“, — განაცხადა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ევროპამ დაინახა, რომ ახალ მთავრობას აქვს ჭეშმარიტად დემოკრატიული ფასეულობები და ამაში მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები დასავლეთს უკეთ დაარწმუნებს:

„გულწრფელი გუნდი მოვედით, ვემსახურებით ქვეყანას და ვეფერებით ევროპულ ფასეულობებს. ევროპა ჩვენთვის მხოლოდ ვიზიტები და „გულაობა“ არ არის, როგორც ზოგიერთებს ეგონათ. ევროპულობას ვიზიტების რაოდენობა და ტრაბახი არ განსაზღვრავს. ჩვენი ხელწერა არის ევროპული და წელს საქართველოში პირველად ჩატარდება ევროპული არჩევნები“.

„ინტერპრესნიუსი“

შსს უწყებათშორის სწავლებაში — „დიდგორი 2013“ მონაწილეობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფი, სახელმწიფოს სხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ „დიდგორი 2013“-ის სამთავრობო უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში.

სწავლების მიზანია, კრიზისული და საომარი სიტუაციების დროს სამთავრობო უწყებებს შორის სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის კოორდინაცია.

„დიდგორი 2013“ სიმულაციური სწავლების სისტემით მიმდინარეობს. სწავლების ფარგლებში, სცენარის მიხედვით, თავდაპირველად, ხდება სტიქიური უბედურება, რა დროსაც წამყვანი როლი ეკისრება კრიზისების მართვის საველე ოპერაციების ცენტრს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით შს მინისტრის ბრძანებით იქმნება. ცენტრი წარმოადგენს ყველა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი პირების გაერთიანებულ შტაბს, რომელიც სტიქიური უბედურების დროს, სამოქალაქო მოქმედების გეგმას შეიმუშავებს.

ამ ცენტრის მართვის კოორდინაციას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს. გაერთიანებული ცენტრის პრესსამსახურის ფუნქციას შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველო ასრულებს, რომელიც ყველა სამინისტროს სახელით აკეთებს განცხადებებს და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას აწვდის მედიას.

უწყებათაშორისი სწავლება „დიდგორი 2013“ 9 სექტემბერს დაჯილდოების ცერემონიით დასრულდება.

„ვერსიანიუსი“

ედპ-სა და ხარატიშვილის პოლიტმეგობრობის ევროპული მიზნები

რატომ არ იყრის პრეზიდენტობაზე კენჭს ბაჩუკი ქარდავა

რუსუდან შელია
557-100-768

მას შემდეგ, რაც ზურაბ ხარატიშვილმა ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტი დატოვა, ყველასგან მოულოდნელად, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და ევროპელ დემოკრატებთან ერთად, ახალი, მემარჯვენე პოლიტიკური ცენტრი შექმნა და თავი საპრეზიდენტო კანდიდატადაც დაასახელა. რა მიზანი აქვს ახალ პოლიტიკურ ცენტრს? — „ვერსია“ ედპ-ს ლიდერს, ბაჩუკი ქარდავას ესაუბრა.

— არაერთხელ გვითქვამს, რომ იმ პოლარიზებულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც ქვეყანა ბოლო რამდენიმე წელია იმყოფება, მემარჯვენე ორიენტაციის, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროდასავლური კურსის მქონე პოლიტიკური ცენტრის არსებობა აუცილებელია. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ჩვენი ახალი გაერთიანება, რომელიც მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებზე ორიენტირებული არაა. ჩვენ არ ვჩქარობთ და ახლა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, რათა ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოვყალიბდეთ. ჩვენი მიზანია, ამ ცენტრში საზოგადოებრივი ჯგუფები და ცალკეული პიროვნებებიც ჩავრთოთ, რომლებსაც პოლიტიკური ამბიცია არ აქვთ, თუმცა ქვეყნის ბედი აწუხებთ.

— ზურაბ ხარატიშვილთან გაერთიანებით, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება, ამყარებს ეჭვს, რომ წინა ხელისუფლების ოპოზიციაში რეალურად არ ყოფილხართ.

— ვერ ვიტყვი, რომ ზურაბ ხარატიშვილი ნაციონალებთან ასოცირდება, რადგან ახალი პოლიტიკური ცენტრის წარმოქმნით, პირველ რიგში, ნაციონალები განაწყენდნენ, თანაც ზურაბ ხარატიშვილი ის ადამიანია, რომელმაც საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო არჩევნები ჩაატარა — ხელი მოაწერა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ოქმს.

— იქნებ, საზოგადოებრივი განწყობიდან გამომდინარე გახდა იძულებული, ასე მოქცეულიყო?

— ბუნებრივია, საპარლამენტო არჩევნებამდე, საზოგადოებაში მაშინდელი ხელისუფლების მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობა არსებობდა, თუმცა კარგად გვახსოვს — საქართველოში მმართველი გუნდი რევოლუციის გარეშე არასოდეს შეცვლილა. ვერ ვიტყვი, რომ ზურაბ ხარატიშვილმა იდეალური არჩევნები ჩაატარა, რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრი ხარვეზი დაფიქსირდა, მაგრამ ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ შედეგი არ გააყალბა. რაც მთავარია, მას მკვეთრად ჩამოყალიბებული მემარჯვენე ხედვები აქვს, რაც იდეოლოგიურად, ჩვენი პარტიის გზასთან თანმხვედრია, მის მიმართ კითხვები არც საგარეო კურსთან დაკავშირებით გვაქვს. ეს ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ხელისუფლების პირველი პირები ერთდროულად ნატო-ში შესვლასა და ევრაზიის კავშირში გაერთიანებაზეც საუბრობენ. მსგავსი განცხადებები უტოპიაა, მით უმეტეს, თუ კლინტონის სიტყვებსაც გავიხსენებთ, საბჭოთა კავშირის რეანიმაციას ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს დაუშვებსო.

სხვათა შორის, პოლიტიკური კოალიცია ზურაბ ხარატიშვილის ირგვლივ არ შექმნილა. ჩვენ მხარი ევროპელი დემოკრატების მიერ წარდგენილ საპრეზიდენტო კანდიდატს დავუჭირეთ.

— ლამის ნახევარი საქართველო პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა და პრეზიდენტობაზე კენჭი თქვენც რატომ არ იყარეთ?

— ყველა პოლიტიკურ ლიდერს აქვს ამბიცია, რომ ამა თუ იმ არჩევნებში კენჭი იყაროს და გამარჯვებისთვის იბრძოლოს, თუმცა დღეს ედპ არ არის იმ პირობებში, საპრეზიდენტო კანდიდატად თავი დამესახელებინა. მიუხედავად ამისა, საპრეზიდენტო კანდიდატს მუდმივად ვეძებდით და ძიება მხოლოდ მაშინ შევწყვიტეთ, როცა ხარატიშვილი საამისოდ მზად აღმოჩნდა.

— ზურაბ ხარატიშვილის ინტერესები გასაგებია — ევროპელი დემოკრატები კვალიფიციური პარტიაა, თქვენ კი მნიშვნელოვანი რეგიონული ბაზა გაქვთ. გაუგებარია, რა ინტერესით დაუკავშირეთ პოლიტიკური ბედი ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარეს?

— ედპ-ს ინტერესი ნათელია — პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის შესახებაც პირადად მე, ბოლო რამდენიმე წელია ვსაუბრობ.

— ხარატიშვილი თქვენთვის ფინანსურად მიმზიდველიც ხომ არ გახდა?

— როგორც გითხარით, ხარატიშვილის იდეა ჩვენ პოლიტიკურ ხედვებთან ახლოსაა, ამიტომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დასავლური ორიენტაციის მომხრეა, მიუხედავად პირადი დამოკიდებულებისა, მხარს დავუჭერ.

რაც შეეხება ფინანსებს, ზურაბ ხარატიშვილის უკან ფინანსების დანახვა არასერიოზულად მიმაჩნია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ბიძინა ივანიშვილია პოლიტიკაში. როგორც აღვნიშნე, ახალი პოლიტიკური ცენტრი სულ სხვა გეგმა და სხვა პროექტია და მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არ შექმნილა. იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებსაც ზომიერი პოზიცია აქვთ, კონსულტაციები დღესაც მიმდინარეობს და იმედი მაქვს, პოლიტიკური პარტიები, ერთმანეთთან კონკურენციის ნაცვლად, გაერთიანებასა და ერთობლივი ძალებით მოქმედებას ვისწავლით. ესაა დღეს ჩემი მთავარი ამოცანა!

საერთოდ, თუ საარჩევნო ტაქტიკის თვალსაზრისით ვისაუბრებთ, დასავლურ ღირებულებზე ორიენტირებული ადამიანები, ბუნებრივია, ნინო ბურჯანაძის კონკურენტები ვერ ვიქნებით. ამიტომ ძირითად კონკურენტებად, დიახ, ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას განვიხილავთ. საქართველოში საკმაოდ დიდია იმ ამომრჩეველთა სპექტრი, რომელსაც ნეიტრალური პოზიცია აქვს, რადგან თავისი შეხედულების მქონე პოლიტიკურ ძალას, ჯერჯერობით, ასპარეზზე ვერ ხედავენ. ჩვენ სწორედ ასეთი ამომრჩევლის იმედი გვაქვს.

— ამომრჩეველს რეიტინგული პოლიტიკური ლიდერიც სჭირდება, რომელიც ამ ეტაპზე, თქვენს ცენტრს არ ჰყავს...

— საპრეზიდენტო კანდიდატის სახით ცენტრს ლიდერი უკვე ჰყავს, თუმცა არც იმას დაგიმალავთ, რომ სხვისთვის არასოდეს ვმუშაობ. საუბარი იმაზე, რომ ამდენს სხვის მოსაყვანად დავრბივარ და ვშრომობ, მართლაც არასერიოზულია. სპეციალურად ვიღაცისთვის ნიადაგს არ ვამზადებ და არც მოვამზადებ.

— ანუ ახლა საკუთარი პარტიის გადარჩენისთვის იბრძვით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არცთუ დიდი მხარდაჭერა გაქვთ?

— შესაძლოა, პარლამენტი შუაგაიკრიფა, მაგრამ საზოგადოება უკვე გრძნობს, რომ ცენტრისტული ზომიერი ძალები მოღვაწეობას განაგრძობენ. ახლა ვცდილობთ, არათუ გავიკრიფოთ, მძლავრ პოლიტიკურ ძალად ჩამოვყალიბდეთ. ჩვენს გასაკეთებელს გავაკეთებთ, დანარჩენი კი უფალს მივანდოთ. რაც მთავარია, არჩევნების მიმართულებით, ჯერჯერობით, პრობლემები არ იქმნება, ადმინისტრაციული კუთხითაც თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდის. იმედი მაქვს, ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე მალე დაინიშნება და საპრეზიდენტო არჩევნები უპრობლემოდ ჩატარდება. ვნახოთ, აქტიური საარჩევნო კამპანიის პირობებში, რამდენად სწორად წარიმართება პროცესები.

— თქვენს მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვების შანსებიც შეაფასეთ...

— ბუნებრივია, პრაგმატულები და რეალისტები ვართ, მაგრამ, რადგანაც საარჩევნო კამპანიაში ჩავერთეთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. დღეს ისეთ ვითარებაში ვართ, პროგნოზირება, ვინ გაიმარჯვებს, გაუმართლებლად მიმაჩნია. ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი, მეტ-ნაკლებად, თანაბარ მდგომარეობაშია, თუმცა ბოლომდე ასე, ალბათ, ვერ გაგრძელდება და პროცესიც გახურდება. ჩვენი სურვილი კი მეორე ტურში მოხვედრაა!

ვერსიანიუსი

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 2 პირი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე შპს „საუნა-ბარ ხოზეს“ მენეჯერები — 1971 წელს დაბადებული მზევინარ ვ. და 1985 წელს დაბადებული ია გ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე საუნის კლიენტებს ფართს პროსტიტუციისთვის გადასცემდნენ. გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა საუნაში მომუშავე 10 ქალბატონი მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ხათუნა ბერძენიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად ინიშნება?

ბრძოლა „პირველი არხისთვის“ — ნაციონალები აკრძალულ იღეთებზე გადავიღნენ?!

ᲔᲓᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

სწორედ მაშინ, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელზე რეორგანიზაცია დაიწყო და არხი საქართველოში ყველაზე დაბალანსებულ ტელევიზიად უნდა გარდაქმნილიყო, სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან კიდევ ერთხელ გადააყენა. ბორდ-მა ბარათაშვილს პოსტი პირველად ექვსი თვის წინ დაატოვებინა, თუმცა სასამართლომ თანამდებობაზე აღადგინა. ამჯერად, ბარათაშვილის გადაყენებას სამეურვეო საბჭოს ცხრავე წევრმა დაუჭირა მხარი და კულუარებშიც მითქმა-მოთქმა დაიწყო...

„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მაუწყებლის ბორდ-ს ტელევიზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ხათუნა ბერძენიშვილის დაბრუნება და დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა აქვს განზრახული! შეგახსენებთ, ხათუნა ბერძენიშვილი ტელევიზიიდან სწორედ გიორგი ბარათაშვილთან დაპირისპირების გამო წავიდა, რამდენიმე დღეში კი, თბილისის მერმა გიგი უგულავამ კრწანისის რაიონის გამგებლად საგანგებოდ დანიშნა.

მართლაც, თუ პროცესებს თანმიმდევრულად მივყვებით, აღმოვაჩენთ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ნაციონალური რევანში სახეზეა. გიორგი ბარათაშვილს, რომელიც ირაკლი ტრიპოლსკის მეუღლის ნათესავია, ტელევიზიაში რეორგანიზაციის დასრულება არავინ აცალა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე შვიდი კვირით ადრე, მაუწყებლის ბიუჯეტისა და არხის პრიორიტეტების შესახებ სრულყოფილი პასუხის ვერმიღების საბაბით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ისე, ბორდ-ის აღნიშნული განმარტება სრულყოფილ არგუმენტად ვერ ჩაითვლება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე ჯერ კიდევ გენერალური დირექტორ ბარათაშვილის მიერ, 29 აგვისტოსა და 2 სექტემბერს ზემოხსენებულ თემებზე დოკუმენტური მასალა გამოქვეყნდა.

ეჭვს ბადებს ის ფაქტიც, რომ გიორგი ბარათაშვილის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება ბორდ-მა ახალი სატელევიზიო სეზონის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ანუ სწორედ მაშინ მიიღო, როცა ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მაუწყებელზე არსებული გადაცემები დაიხურებოდა და მათ „მეცხრე არხის“ ჟურნალისტები — ეკა ბერიძე და ნანა ლეჟავა ახალი პოლიტიკური თოქ-შოუებით ჩაანაცვლებდნენ.

პროცესები საეჭვოდ დაემთხვა ბიძინა ივანიშვილის მორიგ განცხადებასაც იმის შესახებ, რომ მის მფლობელობაში არსებული ტელევიზიის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების ნაცვლად, საზოგადოებამ „პირველი არხის“ გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს. ცნობილია, რომ პრემიერი „მეცხრე არხის“ ტექნიკური რესურსის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გადასაცემად დიდი ხანია მზადყოფნას გამოთქვამს. ყველაფერ ამის ფონზე, გიორგი ბარათაშვილის დირექტორობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირაკლი ტრიპოლსკის ნათესავია, ნაციონალური მოძრაობის ქომაგებს, ალბათ, ნაკლებად აწყობდათ.

ფაქტებიდან გამომდინარე და „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, ასევე შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო ოპოზიციას საზოგადოებრივ მაუწყებელში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ახალი სეზონის პარალიზება სურს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა თამაზ ტყემალაძემ შს სამინისტროს ანალიტიკის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელისა და ვანო მერაბიშვილის მეგობრის, შოთა უტიაშვილის მეუღლის, ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის გადაცემების მომავალ სეზონში განახლებულ ფორმატში გაგრძელება დააანონსა, თუმცა ეკა ბერიძისა და ნანა ლეჟავას შესახებ სიტყვა არ დასცდენია.

თავად გიორგი ბარათაშვილიც თანამდებობიდან მისი მეორედ გადაყენების პროცესში ნაციონალური მოძრაობის კვალს ხედავს:

„როგორც მითხრეს, თანამდებობიდან ჩემი გადაყენების მიზეზი არის ის, რომ ბორდ-ს ბიუჯეტთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია არ მივაწოდე. მოგეხსენებათ, პირველი გადაყენების დღიდან მხოლოდ ექვსი თვეა გასული, ტელევიზიაში კი მხოლოდ სამი თვეა დავბრუნდი, თუმცა ამ საკმაოდ მოკლე დროში მაუწყებელმა ახალი ეთერის დაწყება მოახერხა. თუნდაც იმ მოტივით, რომ ბიუჯეტი არასრულყოფილად იქნა მიწოდებული, გენერალური დირექტორის გადაყენება ახალი საეთერო სეზონის დაწყების წინ და თანაც წინასაარჩევნოდ, რამდენად სწორია, ამ კითხვას ბორდ-მა უპასუხოს. პირადად მე კი, წინასაარჩევნოდ ასეთი გადაწყვეტილება წარმოუდგენლად მიმაჩნია! ერთი რამ ცხადია, წინასაარჩევნოდ საზოგადოებრივ მაუწყებელში ეს პროცესები ტყუილად არ ხდება და ამაში პოლიტიკურ მხარეს ვხედავ. საზოგადოებამ განსაჯოს, რამდენად სწორად მოიქცა ბორდ-ი. პოლიტიკურ ძალაში კი ნაციონალურ მოძრაობას ვგულისხმობ, რომლითაც ბორდ-ია დაკომპლექტებული.“

„ვერსიის“ ინფორმაციით, საზოგადოებრივ მაუწყებელში მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება და საბოტაჟი ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებულმა სამეურვეო საბჭოს წევრმა ეკა მაზმიშვილმა დაგეგმა. სხვათა შორის, ეკა მაზმიშვილი ბორდ-ის ერთადერთი წევრი არ არის, რომელიც წინა ხელისუფლების გუნდთან ასოცირდება — ერთ-ერთი წევრი ემზარ გოგუაძე სამეურვეო საბჭოში გიორგი ბარათაშვილის გადაყენებამდე ხუთი დღით ადრე დაინიშნა და ნაციონალების მეგობრად ითვლება, ამასთან, ბორდ-შია ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი გიორგი მელაძე, რომელიც დიდი ხანია, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრია. აქედან გამომდინარე, ბორდ-ის დამოუკიდებლობაზე საზოგადოებამ დასკვნა თავად გამოიტანოს.

„პირველი არხისთვის“ ნაციონალების ბრძოლა ასე მარტივად, სავარაუდოდ, არ დასრულდება. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდ-ის თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განმარტებისთვის უკვე დაიბარა. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ელისო ჩაფიძის განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები აშკარად ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის უმაღლესი მმართველი ორგანოს მიერ დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხი საფრთხის წინაშე დგას:

„პროგრამული პრიორიტეტების შესრულების აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დგას წინასაარჩევნო უკვე დაწყებული კამპანიის პერიოდში“.

ამ ეტაპზე, სამეურვეო საბჭომ დირექტორის მოვალეობას თამაზ ტყემალაძე ასრულებს, რომელიც გიორგი ბარათაშვილის პირველი მოადგილე 2013 წლის აპრილიდან იყო. კანონმდებლობის მიხედვით, სამეურვეო საბჭო ვალდებულია, 10 დღის ვადაში გენერალური დირექტორის შესარჩევი ღია კონკურსი გამოაცხადოს.

ილია მეორე: „ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიკეთეს აკეთებს, კარგი ბედისაა!“

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ადამიანი ხშირად ფიქრობს, რა უნდა გააკეთოს, რომ ჰქონდეს კარგი ბედი და მშვიდობიანი ცხოვრება. პატრიარქის თქმით, ამისთვის სხვადასხვა საშუალება არსებობს, უპირველეს ყოვლისა კი, საჭიროა, ადამიანი იყოს მორწმუნე, უყვარდეს ღმერთი, მოყვასი, ბუნება და ხალხი.

„ადამიანი უნდა ცხოვრობდეს რაღაც მიზნით, იდეით. ზოგიერთი ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ თავის საკეთილდღეოდ, ის ყველაფერი კი, რასაც მოიპოვებს, აქ რჩება, საბოლოოდ ნადგურდება მისი სიმდიდრე, იმედები და დოვლათი და იგი მძიმედ მიდის ამ ქვეყნიდან. არსებობს ადამიანი, რომელიც აკეთებს მხოლოდ სიკეთეს. ასეთი ადამიანი მუდამ კარგი ბედისაა, ღმერთი მუდამ მასთანაა, თუ რაღაც ცუდი შეემთხვა, ღმერთი ისე გამოიყვანს მძიმე მდგომარეობიდან, თვითონაც ვერ გაიგებს“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ბოროტებას სთესენ, სიკეთის კეთება არ შეუძლიათ და ცხოვრობენ იმისთვის, რომ ვინმე განიკითხონ, ვინმეს ბოროტება გაუკეთონ და აწყენინონ. როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ასეთ ადამიანებს ცუდი ბედი ექნებათ.

„არავინ მოუტანს ისეთ ზიანს ადამიანს, როგორსაც იგი საკუთარ თავს. ადამიანს უნდა ჰქონდეს გული გონიერი, რომ თავს ზიანი არ მოუტანოს, მუდამ სიკეთეზე უნდა იფიქროს, სიყვარული თესოს. ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, ბოროტება იკურნება მხოლოდ სიკეთით და სიყვარულით. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, სადაც ძნელია სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, თუმცა, თუ ადამიანი ღმერთთანაა, ის ამ ყველაფერს გაარჩევს. უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა უფალს მადლობა შესწირა, რომ საქართველო ღვთის რჩეული ერია. უწმინდესის თქმით, ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი არ იქნებოდა.

„ადამიანის ბედი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის და შემდეგ თავად ადამიანის ხელშია. ვაკეთოთ სიკეთე, ვთესოთ სიყვარული და ბედნიერი ვიქნებით. მე გთხოვთ, ილოცოთ ჩემი დედისთვის. მინდა, დავლოცო მთელი საქართველო. საქართველო თესავს სიკეთეს, არის რჩეული ღვთისა, არის ღვთის მამული, ამიტომ ბედი საქართველოსი არის კეთილი, მშვიდობიანი და აუცილებლად ექნება კეთილი მომავალი“, — აღნიშნა უწმინდესმა.

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტთან იპოთეკით დაზარალებული 5 ადამიანი შიმშილობს

რამდენიმე დღეა, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, იპოთეკური სესხით დაზარალებული 5 ადამიანი შიმშილობს. მოშიმშილეები ხელისუფლებისგან, გრძელვადიან და დაბალპროცენტიან სესხებს მოითხოვენ.

როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს მოშიმშილეებმა განუცხადეს, ისინი გაუგებრობაში არიან, რადგან არ იციან, პარლამენტი რას აპირებს და როდის გეგმავს მათი საკითხის გატანას.

„პასუხისმგებლობა აიღოს ვინმემ. ჩვენ არ ვითხოვთ ჩუქებას, გვინდა დაბალპროცენტიანი სესხები. ესაა უიარაღო ომი, რომ ადამიანები გამოყარონ სახლებიდან. შიმშილობა არ შეწყდება. მოშიმშილეებს სასწრაფო ხშირად აკითხავს და გვეხმარება. თბილისიდანაც აპირებენ ჩამოსვლას და შიმშილობის დაწყებას. მაქვს ინფორმაცია, რომ ორი დღის წინ, ქობულეთში ერთ-ერთი ოჯახში გამოსასახლებლად მივიდნენ. ოჯახის უფროსმა კი თავი მოიკლა“, — აცხადებს დარეჯან სულაქველიძე.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა „აღსრულების შესახებ კანონპროექტი“ პირველი მოსმენით მიიღო, რომელიც 6-თვიან მორატორიუმს და გამოსახლების შეჩერებას ითვალისწინებდა, თუმცა კანონპროექტს მხარი მთავრობამ არ დაუჭირა, რის გამოც მისი განხილვა შეჩერებულია.

„პირველი“

ფოთის პორტი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს

ზღვაზე ძლიერი ღელვის გამო, ფოთის პორტი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, — აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსმა, მარიკა ნადარაიამ დაუდასტურა.

„იმ გემებზე, რომლებიც უკვე შემოსულია პორტის ნავმისადგომებთან, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესი მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ზღვაზე შტორმია და პორტში შემოსასვლელია ჩაკეტილი, რეიდზე მყოფი გემები შემოსვლას გამოდარებამდე ვერ შეძლებენ. ეს უამინდობის თანმდევი პროცესია და საგანგაშოც არაფერია“, — განაცხადა მარიკა ნადარაიამ.

ფოთის სანაპიროზე ღელვა გაძლიერდა. ფოთის მერიის პრესცენტრის ინფორმაციით, ტალღების სიმაღლე 5-დან 6 ბალამდე გაიზარდა. რაც შეეხება ქალაქში არსებულ ვითარებას, მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია და ყველა დაწესებულება გამართულად მუშაობს.

„ინტერპრესნიუსი“

ვითიბიმ „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ დააფინანსა

ვითიბი ბანკმა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ 3 000 035 ლარით დააფინანსა. სესხი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მეხუთე კომპონენტის ფარგლებში გაიცა. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, ღვინის საწარმოების მიერ, ყურძნის შეძენა ფინანსდება.

ვითიბი ბანკის მიერ, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 600-ზე მეტი მეწარმე და ფერმერი დაფინანსდა. პროექტის დაწყებიდან დღემდე, ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობა 16 000 000 ლარს აღემატება.

„კახური ტრადიციული მეღვინეობა“, ღვინისა და ბრენდის მწარმოებელი, ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა საქართველოში. იგი მსოფლიოს მრავალ ბაზარზე აწარმოებს თავისი პროდუქციის ექსპორტს და წლების განმავლობაში, რამდენიმე ქვეყანაში გაყიდვების ლიდერის პოზიციასაც ინარჩუნებს.

„კომპანია „კახურ ტრადიციულ მეღვინეობასა“ და ვითიბი ბანკს სამწლიანი პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. ვითიბი ბანკი აქტიურად აფინანსებს ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებს. საკრედიტო მომსახურების გარდა, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, პროდუქციის ექსპორტირებისთვის ხელსაყრელ ფინანსურ ინსტრუმენტებს ვთავაზობთ, რითაც მნიშვნელოვნად ამარტივებს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას“, – განაცხადა ვითიბი ბანკის კორპორატიული ბიზნესის დირექტორმა, ვლადიმერ რობაქიძემ.

ვითიბი ბანკი — ჯორჯია, ვითიბის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრია. დღეს ვითიბი ჯგუფის ბანკები, 20-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. ვითიბი ჯგუფის უნივერსალური მოდელი მოიცავს: კორპორატიულ, საცალო და საინვესტიციო ბიზნესს. ვითიბი ბანკ — ჯორჯიას, საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის, უმაღლესი საკრედიტო რეიტინგი გააჩნია.

რადიო „კომერსანტი“

ებრაული კომპანია „ადითის“ შეუსრულებელი მისია

გაპარტახებული საავადმყოფოები, უხელფასო მედპერსონალი და დაზარალებული პაციენტები — მიზეზები, რის გამოც „ადითის“ კლინიკები სახელმწიფო მართვაში გადავა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დედოფლისწყარო, ასპინძა, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ქარელი, ვანი — ეს იმ რაიონების არასრული ჩამონათვალია, სადაც ებრაული კომპანია „ადითის“ წინააღმდეგ მედპერსონალმა საპროტესტო აქციები გამართა. მას შემდეგ, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ჩააგდო, ებრაული კომპანია „ადითი“ ერთ-ერთი იყო, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. ქვეყნის მასშტაბით კომპანიას ახალი სამედიცინო ობიექტები უნდა აეშენებინა, ამ მიზნით, „ადითმა“ საქართველოს 9 ქალაქის საავადმყოფო შეიძინა და მათი სრული რეაბილიტაციის ვალდებულება საკუთარ თავზე აიღო, რაც ვერ შეასრულა და, შესაბამისად, მედპერსონალის პროტესტმაც არ დააყოვნა.

დღემდე უცნობია, რამდენი გადაიხადა ებრაულმა კომპანია „ადითმა“ საავადმყოფოებში ან სახელმწიფოს წინაშე რა ვალდებულებები აქვს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ საავადმყოფოებში შესვლისთანავე კომპანიის, ხელმძღვანელობამ მედპერსონალის ხელფასი გაანახევრა და კადრები მინიმუმამდე დაიყვანა მაშინ, როცა ჯანდაცვის იმდროინდელი მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი ამტკიცებდა, 2011 წლის 31 დეკემბრიდან ვერც ერთი საავადმყოფო, რომელიც სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ პაციენტებს ვერ მოემსახურებაო. ასეა თუ ისე, ფაქტია: 3 წლის განმავლობაში „ადითმა“ მინიმალური პირობებიც ვერ შექმნა.

რაიონულ საავადმყოფოებში მიზერული ხელფასის გარდა, დიდი ხნის განმავლობაში პრობლემად რჩებოდა დაგვიანებული ხელფასები და ამ ფონზე, რაიონებში ხშირი იყო ექიმების გაფიცვა, საპროტესტო აქციებით კი ჩოხატაური გამოირჩეოდა. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, მოძველებული ტექნიკა, უხელფასო მედპერსონალი და პრობლემები — ასეთია ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების საავადმყოფოების რეალობა, რომლებიც „ადითს“ ეკუთვნის.

„ადითი“ ისრაელის სამედიცინო კომპანია „აიჰოპის“ შვილობილია, რომელიც საქართველოში 2008 წელს შემოვიდა. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის განმარტებით, „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტის ფარგლებში, კომპანიას საქართველოს 27 რაიონში ახალი საავადმყოფოები უნდა აეშენებინა, მაგრამ „აიჰოპმა“ აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა და 2010 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კომპანია „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტს ჩამოაშორეს.

ამის შემდეგ გაირკვა, რომ მთავრობას „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ჩაუვარდა და ჯანდაცვის სისტემის დასარეგულირებლად, საზოგადოებას ახალი პროექტი შესთავაზა — გამოცხადდა ტენდერი, რომელში გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიებს ახალი ობიექტების მშენებლობა დაავალეს. ტენდერში გამარჯვებული ფირმებიდან ერთ-ერთი ებრაული „ადითიც“ იყო. ჩოხატაურის საავადმყოფოს მედპერსონალის ინფორმაციით, კომპანიას ახალი აპარატურა არ შეუძენია, პალატებსა და სველ წერტილებში კი ისეთი ანტისანიტარია იყო, რომ ავადმყოფი კი არა, ჯანმრთელი ადამიანიც ცუდად გახდებოდა, ხოლო დედოფლისწყაროს საავადმყოფოში კი, საოპერაციო ბლოკს ე.წ. სალიარკის ღუმელით ათბობენ...

აგვისტოს დასაწყისში, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ წამგებიანი კლინიკების მართვას სახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს და მზადაა, რეგიონებში არსებული, ბიზნესისთვის წამგებიანი სამედიცინო დაწესებულებები, სამართავად მუნიციპალიტეტებს გადასცეს. სახელმწიფო დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, ლაშა ნიკოლაძის განცხადებით, მთიან რეგიონებში არსებული კლინიკები კერძო სექტორისთვის წამგებიანია და ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი სამართავად სახელმწიფოს გადასცემენ: **„არის რეგიონები, სადაც თვეში მხოლოდ სამი მშობიარობა ფიქსირდება. ასეთ პირობებში კერძო სექტორისთვის მუშაობა წამგებიანია. მუნიციპალიტეტებს ამ სერვისის შენარჩუნება სურთ და მზად არიან, კლინიკები საკუთარ მმართველობაში აიღონ“.**

ლაშა ნიკოლაძის თქმითვე, სახელმწიფო მთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას სამედიცინო სერვისის გარეშე ვერ დატოვებდა. სახელმწიფოს იმ კლინიკების მართვაში აღებაც სურდა, რომლებიც ებრაული „ადითის“ მფლობელობაში იყო — ამ მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო „ადითის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებსაც მართავდა, რომელიც

როგორც ჩანს, სახელმწიფოსთვის ეფექტურად დასრულდა — 13 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ონკოლოგიური ცენტრი და კომპანია „ადითის“ მართვის ქვეშ არსებული კლინიკები სახელმწიფო მართვაში გადავა. დავით სერგეენკოს თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო სამედიცინო დაწესებულებების გადმოცემის პროცესს აწარმოებს. მინისტრმა განმარტა, რომ სხვა სამედიცინო დაწესებულებები მუნიციპალურ მართვაში მასობრივად არ გადავა.

ორი დღის წინ, ჯანდაცვის სამინისტროში სადაზღვევო კომპანიებისა და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. დავით სერგეენკოს გადაწყვეტილებით, არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად სადაზღვევო კომპანიებისთვის გარკვეული მორატორიუმი გამოცხადდება და საჯარიმო სანქციები, რაც ძალაში სექტემბრიდან უნდა შესულიყო, აღარ ამოქმედდება. სერგეენკოს თქმითვე, განსაკუთრებული პრობლემები არსებობს სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“, „ალფასა“ და კლინიკების ქსელის მფლობელ კომპანია „ადითში“.

„არქიმედეს“ 12 000 000 ლარამდე დავალიანება აქვს, თუმცა როგორც სერგეენკომ აღნიშნა, საგანგაშო არაფერია და ყველაფერი გამოსწორდება. ამავე შეხვედრაზე ცალკე განიხილეს სადაზღვევო კომპანია „ალფას“ საკითხი, რომელმაც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა ფინანსური ზარალის გამო დატოვა. მინისტრმა კი განმარტა, რომ თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია უარს იტყვის ე.წ. საყოველთაო დაზღვევის პროექტში მონაწილეობაზე, მაშინ თითოეულ მოქალაქესა და დაზღვეულზე სახელმწიფო იზრუნებს.

რაც შეეხება კლინიკებს, ბოლო დროს ბევრს მსჯელობენ, რომ მათი ნაწილი მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდეს.

ებრაული კომპანია „ადითის“ ხელმძღვანელების განმარტებით, კლინიკებში არსებული ვითარება მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების უპასუხისმგებლობით აიხსნება. „ადითის“ სამედიცინო დირექტორის, ნიკოლოზ ფრუიძის განცხადებით, 7 სადაზღვევო კომპანიიდან, რომლებთანაც „ადითს“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, თითოეულის დავალიანება 780 000 ლარზე მეტია, რაც ჯამში, მილიონ ლარზე მეტს აღწევს.

ვერსიანიუსი

ირანელი დიპლომატი ბარაკ ობამას შვილის გაუპატიურებით ემუქრება

იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს პრეზიდენტი სირიაზე იერიშს განახორციელებს, ირანელი დეპუტატი ბარაკ ობამას უმცროსი შვილის გატაცებითა და გაუპატიურებით იმუქრება.

ირანის სულიერი ლიდერის აიატოლი ხამენის სტრატეგიის საკითხებში მრჩეველი ალი-რეზა ფორგანმა საკუთარ ბლოგზე აშშ-სა და, პრეზიდენტ ბარაკ ობამას მისამართით მუქარის შემცველი სტატუსი განათავსა.

ფორგანი დაიმუქრა, რომ სირიაზე 21 საათის განმავლობაში იერიშის მიტანის შემთხვევაში, მთელ მსოფლიოში აშშ-ს მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები და ნათესავები გატაცებული იქნება და 18 საათის შემდგომ, მათი დანაწევრებული სხეულების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდება.

ცნობისთვის, აშშ-ს მთავრობა ფლობს ინფორმაციას, რომ სირიაში იერიშის განხორციელების საპასუხოდ, ირანი ერაყში განლაგებულ აშშ-ს საელჩოზე თავდასხმას ამზადებს.

„ფრონტნიუსი“

თეა წულუკიანი: „არჩილ კბილაშვილის მოხსნა აზრადაც არ მომსვლია“

როგორც წულუკიანმა ყვარლის იუსტიციის სახლში განაცხადა, მსგავსი გეგმა არც გააჩნია. მისი თქმით, დღევანდელი კანონმდებლობით, მთავარი პროკურორის გადაყენების საკითხს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი და პრეზიდენტს სთავაზობს, თუმცა მსგავსი რამ მისი მხრიდან არ მომხდარა და გავრცელებული ინფორმაცია, კბილაშვილის შესაძლო მოხსნასთან დაკავშირებით, მისთვის უცნობია.

„აზრადაც არ მომსვლია, მსგავს საკითხზე ხელი მომეწერა. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრი წასვლას აპირებს და, შესაბამისად, ყველას მოგვეთხოვება პასუხი, ვინ როგორ იმუშავა და ყველა წარვსდგებით სამსჯავროზე“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

დავით სერგეენკო ნაციონალების ჭყვეობაშია?!



როგორ ცეხავენ „უფასო დაზღვევიდან“ ფულს და რატომ უგორებს ჯანდაცვის მინისტრი ნაციონალებს კოჭს

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

დავით სერგეენკომ თურქ ინვესტორს „კუდით ქვა“ ასროლინა და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, კარგი იქნება, თუკი მინისტრი ყურს ჯანდაცვის სამინისტროში ფესვგამდგარ ნაციონალებსაც აუწევს. ერთი სიტყვით, „ვერსიისთვის“, სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, ცნობილი ხდება, რომ ექსმმართველები დავით სერგეენკოს საბოტაჟს უწყობენ.

საერთოდ, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ვარდოსნებისგან“ საბოტაჟის მოწყობა ერთგვარ ტრადიციად იქცა; ასე, მაგალითად, თავის დროზე მიშას პოლიტიკურმა და-ძმებმა საბოტაჟის მოწყობა, სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილისთვისაც სცადეს, მაგრამ მარგველაშვილმა, როგორც „ვერსიას“ ეუბნებიან, ნაცთა ზრახვები უმალ გაშიფრა და სახელმძღვანელოების ბეჭდვის სტრუქტურა შეცვალა, რითიც ბიუჯეტი მილიონობით ლარის განიავებისგან იხსნა, ოჯახებს კი, მინიმუმ, 400 ლარის შეღავათი მისცა. სხვათა შორის, თანხა, რომელსაც მოსწავლეთა მშობლები სახელმძღვანელოებში იხდიდნენ, უხეში დათვლით, საბოლოო ჯამში, 80-100 მილიონს აღწევდა და ამბობენ, რომ ნაციონალების ზეობის დროს უფასო სახელმძღვანელოები მხოლოდ პირველი კი არა, ყველა კლასის მოსწავლისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა გარკვეული კორუფციული გარიგების წყალობით, წიგნებს უფასოდ მხოლოდ პირველკლასელები იღებდნენ, სხვა მოწაფეთა მშობლები კი, სახელმძღვანელოებში სოლიდურ თანხას იხდიდნენ, რომელიც, როგორც ამბობენ, გარკვეული ადამიანების ჯიბეში მიდიოდა... მოკლედ, როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, მარგველაშვილმა სწორედ ეს კორუფციული სქემა გაშიფრა, თუმცა ამის შესახებ პირდაპირ კი არ დაიწყო ლაპარაკი, არამედ პრობლემა დიპლომატიურად მოაგვარა.

რაც შეეხება „ნაციონალურ საბოტაჟს“ ჯანდაცვაში, როგორც ინფორმატორი ამბობს, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, ნაციონალებმა დასაქმების ორიგინალური სქემა აამუშავეს — ყველა საავადმყოფოს თითქმის ყველა განყოფილებაში ე.წ. მიმღები გახსნეს. წესით, მიმღები გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს — ჰქონდეს შოკის დარბაზი, ჟანგბადის ბალიში და სხვა აუცილებელი ინვენტარი. ამასთან, თანამედროვე ტიპის მიმღები, ანუ ემერჯენსი 400-500 კვადრატულ მეტრ ფართზე უნდა იყოს გაშლილი. საერთო ჯამში, როგორც „ვერსიას“ უხსნიან, მიმღების ერთი საწოლის სათანადოდ აღჭურვა, მინიმუმ, 10 ათასი დოლარი ჯდება, თუმცა ნაციონალების მიერ გახსნილ სახელდახელო მიმღებში ყველაფერ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია — ათკვადრატულ ოთახში ერთი ე.წ. საერთო პროფილის ექიმი, ერთი ექთანი და ერთიც სანიტარი ზის.

ამასთან, როგორც ამბობენ, ნაციონალებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურისთვის დირექტივა ჰქონდათ მიცემული, რომ პაციენტი ევროპული ყაიდის ემერჯენსში კი არა, ზემოხსენებულ კუსტარულ მიმღებში მიეყვანა. ვთქვათ, ადამიანს გულის შეტევა აქვს და „სასწრაფომ“ ის რომელიმე ქირურგიული განყოფილების მიმღებში მიიყვანა. მართალია, კუსტარული მიმღების ექიმი ხვდება, რომ პაციენტი ქირურგიულ კი არა, კარდიოლოგიურ დახმარებას საჭიროებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულის საშუალებებით სახელდახელოდ მკურნალობს და 24 საათის განმავლობაში ქირურგიულ განყოფილებაში აწვენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქირურგიული განყოფილება სოლიდურ სადაზღვევო თანხას მოხსნის, მერე რა, თუკი პაციენტი გარდაიცვლება ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება?! მოარული ინფორმაციით, კუსტარულ მიმღებებში პაციენტის გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა ჯანდაცვის უწყებას მომხდარი არ გაუხმაურებია...

ერთი სიტყვით, კუსტარული ემერჯენსების გახსნით ნაციონალებმა, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რამდენიმე კურდღელი დაიჭირეს: ჯერ ერთი, საპარლამენტო არჩევნების წინ, ათეულობით ადამიანი დაასაქმეს, მეორეც, ბიუჯეტი გაყვლიფეს — კუსტარული ემერჯენსები სახელმწიფო ჯანდაცვისგან ანუ ე.წ. უფასო დაზღვევიდანაც თურმე სერიოზულ ფულს „ღუნავენ“, მესამე და მთავარი — კუსტარული მიმღებები დროებითი პროექტი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებას და კუსტარული მიმღებების დახურვას გეგმავდნენ, თუმცა ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ჰოდა, ნაცებსაც ასე დაემართათ — მართალია, არჩევნები წააგეს, მაგრამ კუსტარული ემერჯენსები დარჩა და ბიუჯეტის გაყვლეფას უწინდებურად განაგრძობენ ანუ სახელმწიფო ჯანდაცვისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 550 მილიონიდან, მინიმუმ ნახევარი, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, სწორედ „კუსტარულ მიმღებებს“ მიაქვთ.

მთელ ამ ბაკქანალიაში კი, როგორც ინფორმირებული წყარო ამბობს, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჯანდაცვის მინისტრი, რომელმაც თურქ ინვესტორს სულ „კრაზანების ბუდე“ ეძახა, ნაციონალურ საბოტაჟზე თვალს ხუჭავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დავით სერგეენკომ ე.წ. კუსტარული ემერჯენსები კი არ გააუქმა, რისი კანონიერი უფლებაც ჰქონდა, არამედ მათ „მეორადი მიმღებების“ სტატუსი მიანიჭა. მაშასადამე, რა გამოდის? — სერგეენკო, რომელმაც გაზულუქებულ თურქთან ეროვნული ინტერესები დაიცვა, ნაციონალებს თითს უკაკვავს?! არადა, ამ „თითის მოკაკვით“, როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, ჯანდაცვაში სერიოზული პრობლემები იქმნება. სხვა თუ არაფერი, ე.წ. უფასო დაზღვევის 500 მილიონზე მეტი ისევ ნაციონალთა ჯიბეში მიდის. სამაგიეროდ, საავადმყოფოებს თვეებია, „უფასო ჯანდაცვისგან“ თეთრიც არ მიუღიათ.

„სერგეენკო თუ კარგი მენეჯერია, პირველ რიგში, ნაციონალების საბოტაჟი უნდა გამოააშკარაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ჯანდაცვის სისტემა თავზე დაემხობა. დღევანდელი მდგომარეობით კი, ჯანდაცვის მინისტრმა ნაცების „კუსტარული მიმღებები“ „გააპრავა“. გარდა ამისა, ეს მიმღებები პაციენტის, ვთქვათ, 30-ლარიან მომსახურებას 6-7 ათასამდე „ბერავენ“ და ამ თანხას, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში, ბიუჯეტიდან იღებენ, — ამბობს „ვერსიის“ ინფორმირებული წყარო.

წელს რკინიგზის ტვირთბრუნვამ 13%-ით იკლო

„საქართველოს რკინიგზის“ ტვირთბრუნვა მკვეთრად შემცირდა. 2013 წლის იანვარ-ივლისში „საქართველოს რკინიგზა“ 10 267 777 ტონა ტვირთს მოემსახურა, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე, 1 000 037 ტონით ნაკლებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში, რკინიგზის ტვირთბრუნვამ, დაახლოებით, 13%-ით დაიკლო.

რკინიგზაზე არსებულ მდგომარეობას დარგის სპეციალისტები რამდენიმე მიზეზით ხსნიან. მათი ერთი ნაწილი ამას გლობალურ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს უკავშირებს, მეორე ნაწილი კი ტვირთბრუნვის შემცირებას, „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებულების არაპროფესიონალიზმით ხსნის.

რკინიგზაში ტვირთბრუნვის შემცირებამ უკვე ტენდენციის სახე მიიღო. ყველაზე მეტი ტვირთი — 22 000 002 ტონა „საქართველოს რკინიგზამ“ 2007 წელს გადაზიდა. ამ მიმართულებით შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო 2006 წელსაც, როდესაც რკინიგზამ 22 000 000 ტონა გადაზიდა. მას შემდეგ, ამ მაჩვენებლამდე მიახლოება ვეღარ ხერხდება. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკით, 2013 წლის შვიდ თვეში, მხოლოდ საექსპორტო ტვირთები გაიზარდა. იანვარ-ივლისში, კომპანიამ 950 458 ტონა საექსპორტო ტვირთი გადაზიდა, ანუ 7 281 ტონით მეტი, ვიდრე 2012 წლის ამავე პერიოდში.

წელს, რკინიგზაზე 1 503 714 ტონის მოცულობის ადგილობრივი გადაზიდვები განხორციელდა. 2012 წლის იანვარ-ივლისში ეს მაჩვენებელი 1 784 151 ტონა იყო. გარდა ამისა, 1 341 290 ტონამდე შემცირდა „საქართველოს რკინიგზით“ გადაზიდული იმპორტული ტვირთების მოცულობა. 631 406 ტონით, ანუ 6 472 315 ტონამდე შემცირდა ტრანზიტული ტვირთები.

საქართველოს რკინიგზელთა ასოციაციის თავმჯდომარის, ვალერიან მაყიშვილის განცხადებით, ტვირთების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი არასტაბილური პოლიტიკური გარემოა, მეორე და მთავარი კი — არაპროფესიონალიზმი. მისივე თქმით, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, რკინიგზაზე ძირეულად არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება, ვიდრე ამ სექტორში პროფესიონალები არ დაბრუნდებიან.

„ჩვენ გავუგზავნეთ 5 წერილი პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თუმცა ამ წერილებმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. რკინიგზა რომ განვითარდეს, დარგში პროფესიონალი ადამიანები უნდა დაბრუნდნენ. სისტემა კი არ შეცვლილა. იმისთვის, რომ საქმე გამოსწორდეს, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებს — პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერსა და პრეზიდენტს რკინიგზის განვითარების ერთიანი ხედვა უნდა ჰქონდეთ. ერთიანი ხედვა კი არ არსებობს, რაც დარგის განვითარებას მუდმივად უშლის ხელს“, — განაცხადა მაყიშვილმა.

ფინანსისტი დავით გონდაური, რკინიგზაზე ტვირთბრუნვის შემცირებას გლობალურ პროცესებს უკავშირებს. მისი თქმით, ზოგადად, ტვირთის გადაზიდვას სამი მიმართულებით მუშაობა სჭირდება — ტვირთმფლობელებთან, გადამზიდავებსა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ამ ჩამონათვალის გონივრული მართვის შემდეგ, მაქსიმალურ ეფექტიანობას მივიღებთ.

„ბოლო პერიოდში, საქართველოსთან ერთად, რკინიგზით გადასაზიდი ტვირთების მოცულობა შემცირებულია ყაზახეთში, რუსეთსა და აზერბაიჯანშიც. ამ ქვეყნებში მიმდინარეობს რკინიგზის სექტორის რეფორმა. საწყის ეტაპზე ამას მოჰყვება გადაზიდვების მოცულობის კლება, რადგან საკუთრების ფორმები იცვლება და ურთიერთობების დალაგებასაც დრო სჭირდება. თავისთავად, შესაძლოა, „საქართველოს რკინიგზის“ ტვირთების კლება გამოწვეული იყოს ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან, თუმცა რკინიგზას ტვირთების კლებაში თავისი კონკრეტული მიზეზებიც აქვს. მაგალითად, მარცვლეულის შემცირება, რაც გამოწვეულია რუსეთსა და ყაზახეთში დაბალი მოსავლიანობის გამო, ხოლო სამშენებლო მასალების (ტვირთის) გადაზიდვების შემცირება საქართველოში სამშენებლო ბიზნესის მასშტაბების კლებას უკავშირდება. რაც შეეხება ნავთობის შემცირებას, ნაწილი გადამისამართდა სხვა მარშრუტებზე, დანარჩენი ტვირთები კი ექსპორტის ბაზრების დაკარგვის ბრალია“, — განაცხადა გონდაურმა.

„ბიზნეს-რეზონანსის“ მასალები

ბიზნესის საკეთებლად საუკეთესო ქალაქი ბათუმია

საქართველოში ინვესტირებისა და ბიზნესის კეთებისთვის საუკუთესო რეგიონულ ქალაქად ბათუმი დასახელდა. ეს გამოკითხვა BPI-ის ვებ გვერდზე 4 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე მიმდინარეობდა და მასში 183 რესპონდენტი მონაწილეობდა.

გამოკითხვაში სულ 13 ქალაქი მონაწილეობდა, რომლებიც სიდიდითა და განვითარების მეტ-ნაკლები პოტენციალით გამოირჩევიან. გამოკითხვაში არ მონაწილეობდა თბილისი, რომელიც მოსახლეობის რაოდენობითაც და ეკონომიკური აქტივობითაც, ბევრად აღემატება რეგიონულ ქალაქებს.

ხმების უმრავლესობით — 44.3%-ით, პირველ პოზიციაზე ბათუმი დასახელდა, რომელიც ინვესტიციების მოცულობით, ტურისტების რაოდენობითა და მშენებლობის რიცხვით, მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს სხვა ქალაქებს.

მეორე პოზიციაზე მოხვდა სამცხე-ჯავახეთის ცენტრი, ახალციხე – 12%-ით, მესამეზე კი საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქი, ქუთაისი – 8.7%-ით. დანარჩენი ხმები ასე გადანაწილდა: ზუგდიდი — 6%, ფოთი — 6%, რუსთავი — 6%, მცხეთა — 4.4%, გორი — 3.8%, წყალტუბო — 3.3%, ქობულეთი — 2.2%, სიღნაღი — 1.6%, თელავი — 1.1%, მესტია — 0.5%.

რადიო „კომერსანტი“



პროკრედიტ ბანკი მომხმარებელს ონლაინანგარიშს სთავაზობს

პროკრედიტ ბანკი მომსახურებას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის და ქართულ საბანკო სივრცეში, მომხმარებლებს სრულიად განსხვავებულ, ინოვაციურ მომსახურებას სთავაზობს. ონლაინანგარიში დისტანციური სერვისებისა და არხების ერთობლიობაა, რაც საშუალებას გაძლევთ, ნებისმიერ დროს, ფილიალში ვიზიტის გარეშე, სრულყოფილი საბანკო მომსახურება მიიღოთ.

ონლაინ-ანგარიშის საშუალებით, თქვენთვის მნიშვნელოვან დროს დაზოგავთ, სწრაფად და დამოუკიდებლად შეასრულებთ სხვადასხვა საბანკო ოპერაციას ნებისმიერი ადგილიდან, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში და, ამავდროულად, ისარგებლებთ შეღავათიანი ტარიფით! ონლაინანგარიში აერთიანებს შემდეგ დისტანციურ არხებსა და სერვისებს: ინტერნეტ-ბანკინგი/ მობილური ბანკინგი; პლასტიკური ბარათი; სმს მომსახურება; სატელეფონო ბანკინგი; სწრაფი გადახდის აპარატი — Pay Box; po-ს ტერმინალი; ბანკომატი.

გარდა ზემოთ მოცემული სერვისებისა, ონლაინ-ანგარიშის მფლობელები შეძლებენ, კომფორტულად ისარგებლონ პროკრედიტ ბანკის ფილიალებში განთავსებული თვითმომსახურების ზონით. თვითმომსახურების ზონაში კლიენტს შეუძლია 24 საათის განმავლობაში, სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით განათავსოს თანხა სასურველ ანგარიშზე, გამოიტანოს თანხა ბანკომატიდან და ისარგებლოს საგადასახდო დავალების მიღების გამარტივებული სისტემით.

თუ დაინტერესდით და გაქვთ, სურვილი ისარგებლოთ ზემოთ აღნიშნული უპირატესობებით, მიმართეთ პროკრედიტ ბანკის ნებისმიერ ფილიალს. გახდით ონლაინანგარიშის მფლობელი და თქვენთვის მომსახურების შეღავათიანი ტარიფები ამოქმედდება.

რადიო „კომერსანტი“

ქველმოქმედება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებისგან თავისუფლდება

რას ითვალისწინებს კანონპროექტი ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

4-დან 20 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა უნდა განიხილონ კანონპროექტი „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“. კანონპროექტი, რომლის ავტორები პარლამენტის წევრები — გუგული მაღრაძე და ზვიად კვაჭანტირაძე არიან, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობასაც ითვალისწინებს. კერძოდ, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები მოგების გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

„ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ კანონპროექტის მიღების მიზანია, ხელი შეუწყოს ფილანთროპიის, როგორც საზოგადოების განვითარებასა და მისი განხორციელების სამართლებრივი ბაზის შექმნას. კანონპროექტით განისაზღვრება ფილანთროპიისა და ქველმოქმედების არსი, მათი ფორმები, განხორციელების წესი და პირობები, ასევე, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

ფილანთროპიას განიხილავენ, როგორც დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. ის გულისხმობს ბიზნესის მიერ სხვადასხვა სოციალური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, კორპორაციის მენეჯმენტსა და პოლიტიკაში მის გათვალისწინებას იმგვარად, რომ ერთდროულად მოახდინოს დადებითი გავლენა, როგორც საკუთარ ბიზნესზე, ასევე მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობაზე. ფილანთროპია ბიზნესის მიერ მოგებასა და რესურსებიდან გარკვეული შემოწირულობების გაცემასაც გულისხმობს.

კანონპროექტის მიზანია, უზრუნველყოს ფილანთროპიისა და ფილანთროპიული საქმიანობის, ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი საკანონმდებლო საფუძვლების განსაზღვრა. ასევე, სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა თანამშრომლობის პრინციპების განსაზღვრა, მათ მიერ საზოგადოებრივი პარტნიორობის სისტემის დამკვიდრებისა და მისი განვითარების ხელშეწყობის, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ფიზიკური პირების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და საზოგადოებრივ პარტნიორობაში მათი ჩართულობის გაძლიერება; სამართლიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი სოციალური გარემოს ჩამოყალიბება.

კანონპროექტის მიხედვით, ფილანთროპია, ქველმოქმედება, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობა, ასევე, საზოგადოებრივი პარტნიორობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: ნებაყოფლობითობა, ურთიერთდახმარება, უანგარობა, ურთიერთთანამშრომლობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების აღიარება, პატივისცემა და დაცვა. რაც მთავარია, მშვიდობის, დემოკრატიის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვა. ფილანთროპია და ქველმოქმედება, შესაძლოა, განხორციელდეს გრანტის გაცემის, შემოწირულობის, მოხალისეობის, სპონსორობის, მეცენატობის ფორმით. ფილანთროპიისა და ქველმოქმედების განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველია საზოგადოებრივი პარტნიორობა. კანონპროექტის მიხედვით, საზოგადოებრივი პარტნიორობის განმახორციელებელი პირები, შესაძლოა, იყვნენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ფიზიკური პირები, სამოქალაქო საზოგადოების, განათლების, კულტურის, მედიცინის, სპორტის წარმომადგენლები, ბიზნესორგანიზაციები. პარტნიორობის, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს: საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, ბიზნესორგანიზაციის მიერ გაცემული მიზნობრივი სახსრები, „გრანტების შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით, დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები, სოციალური მეწარმეობისგან მიღებული შემოსავლები...

პარტნიორობაში მონაწილე სუბიექტების წახალისების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განვითარებისა და პარტნიორობის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტი ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის გარკვეულ სტიმულირებას ანუ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობას ითვალისწინებს. კერძოდ, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მოგება თავისუფლდება მოგების გადასახადით დაბეგვრისგან; საქველმოქმედო ან ფილანთროპიული საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების სხვა ფიზიკური პირებისთვის ფილანთროპიული და საქველმოქმედო მიზნებით გადაცემა კი საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისგან თავისუფლდება. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის დაწყების მიზნით, ფილანთროპიული ორგანიზაციის მიერ ფიზიკურ პირზე ერთჯერადად გადაცემული ფულადი თანხა, არა უმეტეს 5 000 ლარისა, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისგან; ფიზიკური პირის, სამოქალაქო საზოგადოების ან ბიზნესორგანიზაციის მიერ, მის საკუთრებაში არსებული ქონების ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით გადაცემა, თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან.

კანონპროექტის მიხედვით, საქველმოქმედო ან ფილანთროპიული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში სრულიად გამოიქვითება საქველმოქმედო ან ფილანთროპიული საქმიანობის მიზნით გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები. აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებული ნორმა, რომლითაც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს ენიჭება უფლებამოსილება, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთიდან (20%-დან), დასაბეგრი შემოსავლის 1% გადაუხადოს ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს.

ქართლოს ღარიბაშვილის საპრეზიდენტო ოცნებები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტობის ოთხგზის კანდიდატი ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი მეხუთედაც კანდიდატია და ამჯერადაც, როგორც წინა არჩევნებზე, ფიქრობს, რომ პირველ ადგილზე გასვლის შანსი აქვს, ოღონდ — იმ შემთხვევაში, თუ ყველა კონკურენტი ერთ დღეს მოკვდება. პრეზიდენტობის რეკორდსმენი კანდიდატის ქვეყნის გადარჩენის ფორმულა ასეთია: „ერთი ივანიშვილი და ორი ღარიბაშვილი“ ანუ „ფული, სამართალი და პირველი პოლიციელი“. აქედან გამომდინარე, თუკი პრეზიდენტი გახდა, პირობას დებს, რომ ივანიშვილსა და მოგვარე მინისტრს პოსტებს შეუნარჩუნებს. სამაგიეროდ, იმ წუთიდან, როგორც კი პრეზიდენტი გახდება, დიქტატორობას დაიწყებს და ადვოკატთა ასოციაციას დახურავს.



„ერთი ივანიშვილი და ორი ღარიბაშვილი რომ იქნება ქვეყანაში, ძალა მერე ნახეთ!“

— ბატონო ქართლოს, იდეაფიქსი რატომ გაქვთ, რომ მონაწილეობა აუცილებლად ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოთ?

— საპრეზიდენტო არჩევნებში მეხუთედ ვმონაწილეობ და სულ აინტერესებდათ, რა შანსი მაქვს. საერთოდ, შანსი ყველას აქვს, მე კი, საპრეზიდენტო პროგრამაც მაქვს. ამას რომ მეკითხებით, იგივეა, მესის ჰკითხოთ, რატომ თამაშობ ფეხბურთს და არა კალათბურთსო. აი, ბიძინა შეიძლება იყოს სოფლის გამგებელი?! ვერ იქნება — სხვა გაბარიტები, პროგრამა და აზრები აქვს, ამიტომ ყველამ თავისი საქმე და შესაძლებლობები უნდა იცოდეს. პარლამენტში ერთხელ უკვე ვიყავი, 1991-95 წლებში და ჩემი როლი მაშინ შევასრულე.

— ეს როლი მაშინ შეასრულეთ, ვალერი კვარაცხელიასთან ერთად, ედუარდ შევარდნაძე რომ ჩამოიყვანეთ?

— დიახ, ოღონდ თვითმფრინავის საჭესთან არ ვმჯდარვარ. შევარდნაძე რომ არ ჩამომეყვანა, ჯაბა და კიტოვანი იქნებოდნენ ქვეყანაში. მაშინ ხელში ყველას იარაღი ეჭირა – მხედრიონს, გვარდიას. შევარდნაძის გარდა, ამ ორ ძალას ვერავინ მოთოკავდა, ეს მხოლოდ კომუნისტურ ლიდერს შეეძლო და მისი ჩამოყვანაც სწორი იყო.

— კარგი, ახლა ის მითხარით, ნაციონალებმა რატომ დაგიჭირეს?

— ქაღალდზე წერია, რომ თამარ მეფის გამზირზე, ღამის 1-ელ საათზე ვაგინებდი მაშინდელ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს. ვანო მერაბიშვილის დედას არ ვიცნობ და იმ ქალის მიმართ, რომელიც არ ვიცი, როგორ გამოიყურება, სექსუალური ინტერესი ვერ მექნება. არ მახსოვს, მართლა ვაგინე თუ არა, მერე 15 დღე „კაპეზეში“ გავატარე და დამავიწყდა.

— თამარ მეფის გამზირი თქვენი ცხოვრების სხვა საინტერესო მოვლენასთანაცაა დაკავშირებული... ბარემ, ისიც მითხარით, „მერსედესი“ როგორ მოიგეთ...

— ერთი ავადმყოფი მყავდა პარტიაში, გურამ უსტიაშვილი, პარლამენტში შევიყვანე ადრე და მერე ვინანე. ხმა გამივრცელა, თითქოს ერთი ქალი გარეთ გავიყვანე, მასთან სექსუალური ურთიერთობა მქონდა და „მერსედესი“ მოვიგე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი სისულელეა. რომ მოგიყვეთ, როგორ მოვიგე, მერე სხვებიც ისწავლიან. მაშინ მიდით ბიძინა ივანიშვილთან – კარტის თამაში მაგრად იცის, განსაკუთრებით „სეკა“ და იმანაც გასწავლოთ. ბიძინა ახალგაზრდობაში ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ახლა რეზიდენცია აქვს, მაგრამ კარტის თამაში უფრო უყვარდა, ბევრი მოიგო, რომ იცოდეთ.

— „სეკაში“ მოიგო 7 მილიარდი?

— არა, საინტერესო ტვინი და სწორი გათვლები აქვს — გენიალური ადამიანის გაგება ძნელია... რაც შეეხება ჩემს მოგებებს, ხომ შეიძლება, კიდევ მომინდეს „მერსედესის“ მოგება, ყველას რომ ვასწავლო, მერე მე ვეღარ მოვიგებ. გეტყვით, კიდევ რა მოვიგე: დიდი შავი „ლინკოლნ ნავიგატორი“, შარშან გასაღები ჩამაბარეს. ერთი რამ არ იცით – ადვოკატობა ძალიან საინტერესო პროფესიაა. ადვოკატს შეუძლია, პროცესზე გავიდეს და ერთი სიტყვით 5 მილიონი მოიგოს, მე კი ადვოკატი ვარ. როცა რეგისტრაციას გავივლი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი და ინტერვიუს მოგცემთ, როგორც მოქმედი პრეზიდენტი, აი, მაშინ მოგიყვებით ყველაფერს.

— მანამდე ის მითხარით, განუყრელ ჩიბუხს მართლა სტალინის მიბაძვით ეწევით?

— სტალინი რომ მახსენდება, ვნერვიულობ და იმიტომ ვეწევი. საერთოდაც, ჩიბუხი მანამდე შერლოკ ჰოლმსთან ასოცირდებოდა, მერე სტალინი ეწეოდა, ახლა — მე. სტალინს თუ შემადარებენ, ამაში ცუდი არაფერია. შემადარონ მაკედონელსაც, იულიუს კეისარსაც, აბრაამ ლინკოლნს, თუნდაც, ნელსონ მანდელას, ამაში ცუდი რა არის? მგონი, სტალინი ჩიბუხს იმიტომ ეწეოდა, რომ იცოდა, მე მოვწევდი.

— ისე, ბოლო დროს სტალინის ძეგლებს საღებავებით რომ ღებავენ, არ ბრაზობთ?

— ძეგლი თაობის ნებაა. ლენინის ძეგლი იდგა ლენინის მოედანზე, ორჯონიკიძის — საბურთალოზე, რადგან თაობას უნდოდა ასე. ერთი თაობა წყვეტს ამ საკითხს და, მეორე თაობა რომ მოდის და იმ ძეგლს იღებს, ამით წინა თაობას შეურაცხყოფს. იდგეს ის ძეგლი, ვის რას უშლის?! იცით, ამ ძეგლების რატომ ეშინიათ? — თვითონაც ისეთივე ბოლშევიკები იყვნენ და ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც სტალინი, ლენინი...

— ამას მხოლოდ ნაციონალებზე ამბობთ თუ „ოცნებაზეც“?

— იმათზე, ნაციონალებზე, თორემ ესენი საერთოდ არაფერს აკეთებენ, რატომ – არ ვიცი. მგონი, ყველა ქუთაისელი გახდა, ქუთაისში ხომ „ლაითი“ ცხოვრების წესია! ჰოდა, ჩადიან იმ პარლამენტში და ქეიფობენ, აბა, სხვა რა უნდა აკეთონ ქუთაისში?!

— კიდევ ერთი კითხვა მაქვს – ცოლი რატომ არ მოგყავთ?

— თბილისში და არამარტო აქ, ასეთი წესია: არც მღვდელს ეკითხებიან, არც მმატჩის ბიუროს, ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და ცოლ-ქმარს ეძახიან. როგორ შეიძლება, 20 წლის ასაკში ვინმეზე გადაწყვიტო, ერთად უნდა დავიმარხოთო?! ენგელსს ჰკითხეს, ოჯახი რა არისო, მან კი დარვინის სიტყვები გაიმეორა, ესაა ურთიერთობის ყველაზე ცუდი ფორმა, ოღონდ უკეთესი ჯერ არ მოუგონიათო. ევროპამ მოიგონა – ქალი და კაცი ერთად ცხოვრობს, ერთმანეთის ხასიათს სწავლობს და თუ ერთიანი ქონების შეძენა უნდებათ, მერე ქმნიან ოჯახს. ოჯახი ქალსა და კაცს შორის იურიდიული ურთიერთობაა. გარდა ამისა, როცა ოჯახს ქმნი, ვალდებულებები გაქვს და არა უფლებები, ოჯახის გარეშე პირიქითაა. ახლა მითხარით, რომელი სჯობს?!

— ანუ ჯერ ვერ მიიღეთ გადაწყვეტილება, ვისთან ერთად უნდა დაიმარხოთ?

— სიკვდილს საერთოდ არ ვაპირებ, არასოდეს! სამაგიეროდ, ქალის გარეშე არასდროს ვყოფილვარ, გადახრები კი არ მაქვს, თუმცა გეების უფლებებსაც პატივს ვცემ — ამ საკითხში დღეს თითქოს ჯუნგლებში ვართ. მეც ვყოფილვარ ეგეთ ჯუნგლებში, მაგრამ იქიდან რომ გამოვდივარ ხოლმე, ვიბან, პირს ვიპარსავ და ა.შ. ვისი რა საქმეა, ვინ ვისთან წევს, დღეს სექსუალური თავისუფლებაა! ფროიდმა თქვა, სექსში სამარცხვინო არაფერიაო და ფროიდს პატივს ვცემ. მე, მაგალითად, სხვისი სექსი სულ არ მაინტერესებს — ვისაც აინტერესებს, სხვა როგორ სექსაობს, ეგ ჩემი კი არა, იმის პრობლემაა. მიყვარს, მომწონს და პატივსაც ვცემ სიმპათიურ ქალებს. ყველა ქალი, ვინც მყოლია, ლამაზი იყო და ყველასთან ვმეგობრობდი. სულ ენგელსის პრინციპით ვცხოვრობდი — 1 წელი ვმეგობრობდი თუ 10 წელი მარტო ერთ ქალთან ვიყავი, ჩემთვის ღალატი არ არსებობს! ისე, ხომ იცით, ქვეყანაში ბევრი ინფორმაცია ტრიალებს, მაგრამ მე პატარა ღარიბაშვილზე მეტი ინფორმაცია მაქვს!

— პატარა ღარიბაშვილი ვინ არის, შს მინისტრი?

— დიახ, პირველი პოლიციელი რომაა... საქართველოში საინტერესო რამ ხდება — პირველი პოლიციელიც ღარიბაშვილია და პირველი ადვოკატიც!

— ზაზა ხატიაშვილმა იცის, თქვენ რომ პირველობის პრეტენზია გაქვთ?

— ხატიაშვილი მე მივიღე ადვოკატად 1996 წელს, მაგრამ მაგან დღესაც არაფერი იცის ადვოკატობის! მისი ასოციაციის წევრი არ ვარ და არც არასდროს გავხდები. როგორ შეიძლება, ერთწლიანი იყოს ადვოკატობა?! პრეზიდენტობა მინდა, გავუუქმებ იმ უწყებას და ეგ იქნება!

— დიქტატორობას აპირებთ?

— რა პრობლემაა. ქვეყანას ვუსურვებ, ჩემნაირი დიქტატორი ჰყავდეს. დიქტატურა წესრიგია! აბა, რად გვინდა ბალაგანი. ახლა ბალაგანია ქვეყანაში და პარლამენტშიც არაფერს აკეთებენ — ერთი, ეკა ბესელია გამოდის, ადვოკატების „პრინცესა“, დათო უსუფაშვილსაც აჩვენებენ ხოლმე, როგორ ზის პრეზიდიუმში, მაგრამ კანონებს არ იღებენ და პარლამენტი, ჯაბასი არ იყოს, ლობიოს ჭამა კი არ არის! აი, ივანიშვილი და ღარიბაშვილი ერთად დიდი ძალაა, მაგრამ ერთი ივანიშვილი და ორი ღარიბაშვილი რომ იქნება ქვეყანაში, ძალა მერე ნახეთ!

— ივანიშვილს თქვენი კი არა, გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტება უნდა.

— მარგველაშვილს პრეზიდენტობის საშიშროება არ ემუქრება — ვიცი, რა რეიტინგიც აქვს. ისე, აბა, თვითონ მარგველაშვილს ჰკითხეთ, უნდა პრეზიდენტობა? მოკლედ, ახლა ველი, როდის დამარეგისტრირებს ცესკო.

— ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარეც თქვენი კონკურენტია...

— ვინა, ხარატიშვილი? ბიძინამ შეიძლება, მხარი ხარატიშვილს დაუჭიროს. როცა სტუდენტი იყო, ბიძინას დაზგები უყვარდა, ხარატი კი დაზგასთანაა დაკავშირებული — დაზგა, ხარატი... რეალურად, მზარდი რეიტინგი ახლა ნინო ბურჯანაძეს და შალვა ნათელაშვილს აქვთ. მეც მაქვს წინასაარჩევნო შეხვედრები — ვხვდები პენსიონერ დედაჩემს. დედაჩემის ქალიშვილობის გვარი გოდერძიშვილია, თამარი ჰქვია. მოვითხოვ, დანარჩენმა კანდიდატებმაც თქვან, ვის დედას რა ჰქვია, ხომ უნდა ვიცოდეთ?! იცით, პრეზიდენტობა რატომ მინდა — ბრძანებების გასაცემად. მე კი არ შევასრულებ, რასაც სხვები მეტყვიან, სხვები შეასრულებენ ჩემს ნათქვამს.

— მერე, პირველ რიგში, რა უნდა გვიბრძანოთ?

— სუფრა გაშალეთ, ვიქეიფოთ-მეთქი. თამადა მე ვიქნები. დავთვრები და მეორე დღეს გიბრძანებთ, „პახმელიაზე“ გამოვიდეთ-თქო. რეალურ პროგრამას მხოლოდ მას მერე გეტყვით, რაც პრეზიდენტი გავხდები, რადგან ჩემი პროგრამიდან ერთი დეტალი ორპალატიანი პარლამენტის შესახებ, ერთხელ ტელევიზიით ვთქვი და ზოგიერთმა პარტიამ თავიანთ პროგრამად გაასაღეს. არც ერთ ქალაქს რომ არ ვაწყენინოთ, ერთი პალატა ქუთაისში იქნება, მეორე — თბილისში, საპრეზიდენტო ვადა კი 5-დან 4 წლამდე შემცირდება. მოკლედ, დღეს ასეთი სიტუაცია გვაქვს — ეკონომიკა არის ფული, ფულის საქმე ბიძინაზე უკეთ არავინ იცის, მაგრამ ეგ ჯგუფი იმაში „გაიჭედა“, რომ სამართლიანობა არ არის ქვეყანაში. სამართლიანობა კი სასამართლოში უნდა აღადგინო, შურისძიებით სამართალს ვერ დაამკვიდრებს ეს ხალხი, სამართლიანობა სასამართლოში უნდა დამყარდეს, ამიტომ საჭიროა ასეთი ტანდემი: ივანიშვილი, ღარიბაშვილი, ღარიბაშვილი — ფული, სამართალი და პირველი პოლიციელი! ბიძინაზე კარგად ფულის საქმე არავინ იცის, ჩემზე კარგად — სასამართლო, ჰოდა, რასაც მე და ბიძინა გადავწყვეტთ, ირაკლიც იმას გააკეთებს!

ვერსიანიუსი

ბათუმში ნატო-ს წვრთნები გაიმართა

ნატო-ს საზღვაო სარდლობის ინიციატივით, ე.წ საპორტო ვიზიტის ფარგლებში, ბათუმის პორტში, შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფისა და ბათუმის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებისთვის ერთობლივი წვრთნები გაიმართა.

აღნიშნული ტრენინგის მიზანია, უწყებებს შორის კრიზისულ სიტუაციებში კოორდინირებული რეაგირების არსებული მექანიზმების გამოცდა და დემონსტრირება.

ტრენინგი წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით ჩატარდა, რის მიხედვითაც გერმანულ საფლაგმანო გემ MOSEL-ზე მოეწყო ხანძრის სიმულაცია. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბათუმის პორტის ადმინისტრაციამ, პორტის უსაფრთხოების სამსახურმა და ბათუმის მუნიციპალურმა სამაშველო სამსახურმა.

სწავლების დასრულების შემდეგ საფლაგმანო გემ MOSEL-ის ადმინისტრაციის ოფიცერმა ჰონალდ პუსტლაუკმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამსახურის მაშველებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ტრენინგში ასევე ჩართულები იყვნენ შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“–ის, საპატრულო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების ბათუმის სამმართველოს თანამშრომლები.

„ვერსიანიუსი“

ცხინვალის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი იტალიელ დეპუტატს შეხვდა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დავით სანაკოევმა იტალიაში შეხვედრები გამართა. სანაკოევი შეხვდა მემარცხენე ეკოლოგიური თავისუფლების პარტიის დეპუტატ ლარა რიჩარტს.

„შეხვედრის დროს დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ მინისტრის პირველი ვიზიტი იტალიაში წარმატებული იქნება და სამხრეთ ოსეთსა და იტალიას შორის კავშირები გამყარდება და გაფართოვდება“, — აცხადებენ დე ფაქტო სამინისტროში.

ვიზიტის მეორე დღეს სანაკოევი კერძო გალერეის Arzill-ის მფლობელის ჯუზეპე არცილის მიწვევით, სან-მარინოში გამოფენას „მთიანი აფხაზეთი“ დაესწრო.

გარდა ამისა, დე ფაქტო მინისტრი რომში იტალიის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელს არტურო სკოტის შეხვდა.

დე ფაქტო სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, **„საუბრისას მხარეებმა იტალიისა და სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების დამყარების შესაძლებლობები განიხილეს“.**

„პირველი“

სოზარ სუბარი: „მერაბიშვილი ჯანმრთელობას არ უჩივის“

„ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ყველა კითხვა აბსოლუტურად ხელოვნური და შეგნებულად გამწვავებული იყო ადვოკატების მიერ“, — ამის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით საკითხის კომენტირებისას განაცხადა. სოზარ სუბარის ინფორმაციით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

„ვანო მერაბიშვილი ჯანმრთელობას არ უჩივის. გამოკვლევები მანამდეც არაერთხელ ჩატარებულა. თუ მისი თანხმობა იქნება, უფრო დაწვრილებითი გამოკვლევებისთვის მზად ვართ. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. თუ რამე დაავადებაზეა საუბარი, არის ის, რაც ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება ჰქონდეს ბავშვობიდან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს ხერხემალი, სხვა განსაკუთრებული არაფერია“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ანდრო ბარნოვი პრემიერს წინა მთავრობის დამსახურების მითვისებაში ადანაშაულებს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე რიგის კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლას აკრიტიკებს.

„დამთავრდა რიგის კონფერენცია და ბოლო დღეს იყო ჩვენი პრემიერის გამოსვლა. დეტალების მოყოლა ეთიკის ნორმებს ვერ უთავსდება, ამიტომ თავს შევიკავებ, თუმცა ამის ართქმა არ შეიძლება: აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრემიერი შინ რომ წინა მთავრობას აგინებს, გარეთ სწორედ ამ წინა მთავრობის დამსახურებების მითვისებას ცდილობს! მისი გამოსვლის მიხედვით, ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულება, რუსეთთან უვიზო რეჟიმი და WTO-ში რუსეთის მიღება ახალი მთავრობის დამსახურება ყოფილა. ასევე, ბიზნესის გათავისუფლების შემდეგ მსოფლიო ბანკის რეიტინგში მე-9 ადგილზე გადასულა საქართველო“, — აცხადებს ბარნოვი და ივანიშვილის ტექსტიდან ამონარიდს ავრცელებს, რომელიც მისი თქმით, კონფერენციის ყველა მონაწილეს დაურიგდა.

„პირველი“

დაიჭერენ თუ არა ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარეს

რუსუდან შელია
557-100-768

7 სექტემბერს, უწყებათაშორისი კომისიის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანება“, კოალიცია „ერთსულოვნება“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „ახალგაზრდა ფინანსიტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ და სხვა უფლებადამცველები ლენტეხის მოსახლეობას შეხვდნენ და საკრებულოს მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ. შეგახსენებთ: 23 აგვისტოს, ლენტეხის საკრებულოს მიერ გადაყენებული გამგებლის, ზაზა ლიპარტელიანის მხარდამჭერებმა საკრებულოს შენობის პიკეტირება მოახდინეს.

პარადოქსია, ზაზა ლიპარტელიანი გამგებლის თანამდებობაზე „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმე თვის წინ წარადგინა, თუმცა თანამდებობიდან, როგორც მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, ნაციონალების, კერძოდ, დეპუტატ გოგი ლიპარტელიანის ზეწოლის შედეგად გაათავისუფლეს.

ლენტეხში მყოფმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკრებულოს თავმჯდომარესთან, ვალოდია ქურასბედიანთან შეხვედრა მოითხოვეს. უწყებათაშორისი კომისიის ერთ-ერთმა წევრმა მას დაურეკა და შეხვედრა სთხოვა, თუმცა ქურასბედიანმა ტელეფონი გაუთიშა, მოგვიანებით კი, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა. ვალოდია ქურასბედიანის ნდობით აღჭურვილმა პირმა ლენტეხში საქმის შესასწავლად ჩასულებს განუცხადა, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი არაფერ შუაშია, გოგი ლიპარტელიანზე ზეწოლას მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ახორციელებენ და იძულებულია, საკრებულოს თავმჯდომარე შეავიწროვოს და რაიონის გამგებლის, ზაზა ლიპარტელიანის თანამდებობიდან გათავისუფლებაც ამიტომ გადაწყდაო.

საკრებულოში შესულმა უწყებათაშორისმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ საკრებულოს აპარატი აბსოლუტურად უკანონო დოკუმენტაციებით მუშაობს. კერძოდ, გაირკვა, რომ აპარატში 20 აგვისტოს ბიუროს სხდომის ოქმი და 2 აგვისტოს შემდეგ რეგისტრირებული დოკუმენტი არ არსებობს. მეტიც, განკარგულების წიგნში 5 აგვისტოს შემდეგ ჩანაწერი არ გაკეთებულა ანუ ეჭვი, რომ გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი 2013 წლის 23 აგვისტოს თანამდებობიდან შესაბამისი დოკუმენტაციის გაყალბებით გადააყენეს, უკვე დადასტურდა. ზაზა ლიპარტელიანის მხარდამჭერების განცხადებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვლადიმერ ქურასბედიანი იმდენად უკანონოდ მოქმედებდა, რომ გამგებლის გათავისუფლების შესახებ დოკუმენტები ერთპიროვნულად, ყოველგვარი ბრძანებისა და განკარგულების გამოცემის გარეშე შექმნა, აღნიშნული დოკუმენტები რეგისტრაციასა და შესაბამის წიგნში არ გაატარა, სადაც კანონით დადგენილი წესით, ზაზა ლიპარტელიანის გათავისუფლება უნდა დამტკიცებულიყო. ლიპარტელიანის მხარდამჭერების მოსაზრებას მუნიციპალიტეტში შესული შვიდკაციანი კომისიის დასკვნაც ამყარებს.

პროცესში კიდევ ერთ პარადოქსს ვაწყდებით: ზაზა ლიპარტელიანის გათავისუფლების შემდეგ, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად მისი მოადგილე ზურაბ ონიანი დაინიშნა ანუ 23 აგვისტოს გამგებლის მოვალეობა ზურაბ ონიანს უნდა შეესრულებინა, თუმცა 2013 წლის 2 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში, მაშინ, როცა გამგეობის შენობა 23 აგვისტოდან მოსახლეობის მიერ იყო პიკეტირებული, მორიგი უკანონო დოკუმენტი — №66 ბრძანება შედგა და გურგენ ფურელიანი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილედ დაინიშნა. გაუგებარია, როდის და სად დაიწერა ბრძანებები მაშინ, როდესაც ბრძანებების შემდგენელ პირებს სამუშაო პირობები, პრაქტიკულად, არ ჰქონდათ, თანაც ფურელიანის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლება საკრებულოსა და გამგეობის უფლებამოსილი პირების გარდა, არავის აქვს. ერთი სიტყვით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ონიანმა 2 სექტემბერს გურგენ ფურელიანი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ისე დანიშნა, ამის შესახებ ბრძანება აპარატში არავის უნახავს. გარდა ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა ზურაბ ონიანმა გურგენ ფურელიანი მოადგილედ ისე დანიშნა და 900-ლარიანი ხელფასიც ისე გამოუყო, რომ შესაბამისი შტატი არ არსებობდა.

ზაზა ლიპარტელიანის მხარდამჭერთა განცხადებით, თუ ლენტეხის მუნიციპალიტეტში დანაშაულებრივი ქმედება დროულად არ აღიკვეთება, შესაძლოა, დამნაშავე პირებმა მინიჭებული უფლებამოსილება კვლავ გამოიყენონ და მათი დაჯგუფების დანარჩენი წევრებიც სახელმწიფო თანამდებობებზე უკანონოდ დანიშნონ.

სხვათა შორის, საქართველოს მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის სახელზე უკვე მზადდება საჩივარი, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მთავარმა პროკურორმა ლენტეხის რაიონში მიმდინარე მოვლენების გამოძიება პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს და საქმეს უშუალო ზედამხედველობა გაუწიოს.

ვერსიანიუსი

კონტრდაზვერვითი საქმიანობის კონტროლი მთავრობისა და პრემიერის კომპეტენციაში გადადის

ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციისა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის წესს პრეზიდენტის ნაცვლად, მთავრობა განსაზღვრავს. ამასთან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის კოორდინაციის განმახორციელებელი სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებული ხდება, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ანგარიში პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს.

ამას პარლამენტში მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც პარლამენტში უკვე განიხილეს, ერთ-ერთია იმ კანონთა შორის, რომლის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა ხდება და უფლებამოსილებები პრეზიდენტიდან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეცსამსახურის კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეკისრება.

„ინტერპრესნიუსი“

დაიქირავა და გაწვრთნა თუ არა სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩეჩენი ისლამისტი „ბოევიკები“

ჯოშუა კუცერა,
www.eurasianet.org

ერთი წლის წინ, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს სამხედრო ოპერაცია „ქვეყანაში რუსეთის მხრიდან შეიარაღებული დივერსიის აღსაკვეთად“, როგორც ამას საქართველოს ხელისუფლებამ უწოდა.

ეს ოპერაცია განხორციელდა პანკისის ხეობაში, სადაც საქართველოში მცხოვრებ ჩეჩენთა მცირერიცხოვანი თემია დასახლებული. ოპერაციის შედეგად, როგორც იუწყებიან, მოკლული იყო 11 ადამიანი. იმ დროს, ბიძინა ივანიშვილთან გააფთრებულ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სავარაუდო დივერსიას რუსეთის „პროვოკაცია“ უწოდა, რომლის მიზანიც არჩევნებზე გავლენა იყო.

თუმცა, ერთი წლის შემდეგ, ამოტივტივდა დასაბუთება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების თავდაპირველ ვერსიას. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ოპერაცია, რეალურად, იყო სააკაშვილის ხელისუფლების მოუქნელი მცდელობის შედეგი, გაეწვრთნა ჩეჩენი მეამბოხეები რუსეთში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით. როგორც ჩანს, ამოსავალი წერტილი ამ საკითხში არის ამას წინათ გამოცემა Open Democracy-ში გამოქვეყნებული სტატია: „არის თუ არა საქართველო ტერორისტული სახელმწიფო?“

ოფიციალური ვერსიის გარშემო შეკითხვები ამ მოვლენების შემდეგ სწრაფადვე გაჩნდა, მაგრამ რეალური კონტრბრალდებები საქართველოს სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის აპრილის ანგარიშში გამოჩნდა, რომელმაც ასეთი დასკვნა გამოიტანა:

„მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან თბილისში ჩეჩნების ჩამოყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. მათი წვრთნა იარაღის გამოყენებით რამდენიმე თვე გაგრძელდა, რათა მათ საბოლოოდ გადაეკვეთათ საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი და შეერთებოდნენ ისლამისტ დივერსანტებს.

გარდა ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდა ჩეჩენი დევნილებისა, ოპერაციის ორგანიზატორებმა, ასევე დაიქირავეს რამდენიმე ქისტი (საქართველოში მცხოვრები ჩეჩნები) ჩეჩნების თემიდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა“.

რადიო „თავისუფლების“ ამომწურავი რეპორტაჟის თანახმად კი, ამ გეგმის უკან იდგა არა შინაგან საქმეთა, არამედ თავდაცვის სამინისტრო. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ გეგმის მიხედვით, ჩეჩნებს უნდა განეხორციელებინათ თავდასხმა თავად ივანიშვილზე ან ტერორისტული აქტი საქართველოში, რომელიც ისევ ივანიშვილს დაბრალდებოდა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს:

„მიმდინარე ოფიციალური გამოძიება, თუ როგორ, რატომ და ვინ დაიქირავა ჩეჩნები, როგორც ჩანს, შეჩერებულია, თუმცა ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ივანიშვილმა აპრილში განაცხადა, რომ გამოძიება „უახლოეს მომავალში“ დასრულდება“.

რომ შევაჯამოთ, არსებობს საფუძვლიანი ბრალდებები, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიქირავა და გაწვრთნა ჩეჩნები დივერსიულ ისლამისტურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად. ცხადია, ამ ბრალდებებში პოლიტიკური ელემენტები შეიძლება იყოს. ვკითხე ქართველებს ამის შესახებ, მაგრამ არც ერთმა მიპასუხა, რომ ბრალდებები აბსურდულია. ისინი, როგორც წესი, მხრებს იჩეჩავენ და ამბობენ: „ვინ იცის?“

ნეტავ, რატომ არ მოჰყვა ამ ამბავს უფრო დიდი გამოხმაურება?

შავი ზღვის სანაპიროზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლების შემდეგ, ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობები გაძლიერდა. როგორც რიგის კონფერენციის ფარგლებში გამართულ სამუშაო სადილზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, 2013 წლის მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგის“ მოხსენებაში საქართველომ მე-9 ადგილი დაიკავა.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საგადასახადო კოდექსში შესულმა ცვლილებებმაც, რის შედეგადაც, ახალი ინვესტიციები მოიზიდეს. ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მეტალურგიული ქარხნის ასაშენებლად 250 მილიონდოლარიანი ინვესტიციის განხორციელება დაიგეგმა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, აზერბაიჯანელი ინვესტორები შავი ზღვის სანაპიროზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად დაახლოებით მილიარდდოლარიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ.

საწვავისა და დენის ფასი, საშუალოდ, დაახლოებით 10 და 21-27 პროცენტით შემცირდა.

„სტრატეგიულად შეფასდა ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური მხარეები და ინვესტიციების განხორციელება დავიწყეთ ეკონომიკის მზარდ სექტორებში. იქმნება მრავალმილიონდოლარიანი დამოუკიდებელი ფონდი ისეთი სფეროების დასახმარებლად, როგორიცაა ენერგეტიკა, მაღალი ტექნოლოგიები, ინტერნეტტექნოლოგიები და სამედიცინო პროექტები. სახელმწიფო ასევე მუშაობს კერძო ინვესტორებთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას ხუთ მილიარდდოლარიანი კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელიც ინვესტიციებს ახალ კერძო კომერციულ საწარმოებში განახორციელებს. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ეს რეფორმა პოლიტიკური თანაარსებობის რთულ ფონზე მიმდინარეობს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ახალი გამოწვევაა. შესაბამისად, ყველაფერი ისე კარგად არ მიდის, როგორც სასურველია“, - დასძინა პრემიერმა.

მისივე თქმით, თანამშრომლობას მთავრობასა და პრეზიდენტს შორის მრავალი სიძნელე ახლავს, რაც ხელს უშლის დასახული მიზნების განხორციელებაში. კერძოდ, ივანიშვილის თქმით, საპრეზიდენტო ხელისუფლების მხრიდან გაუმართლებელი წინააღმდეგობის გამო, ქვეყანას მრავალი თვეა, არ ჰყავს ელჩები ისეთ მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ბულგარეთი.

„იმედი მაქვს, წარმატებით მოვახერხებთ პოლიტიკურად ამ მეტად დელიკატური ვითარების ბოლომდე მიყვანას, რომლის შემდეგაც ჩვენი მთავრობის საქმიანობა გაცილებით ეფექტიანი და ნაყოფიერი იქნება“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

„ქართველებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთი ბოროტმოქმედი არაა!“

რუსი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ტერიტორიებთან დაკავშირებული კონფლიქტი მხოლოდ ქართველების, ოსებისა და აფხაზების მოსაგვარებელია.

„საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებს არ ვიცვლი, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტში ორივე მხარე იყო ჩართული და ახლა უკვე რთულია იმის გარკვევა, ვინ მოახდინა უფრო მეტი პროვოცირება. ვფიქრობ, იმ კრიზისულ მომენტში, რუსეთი სწორად მოიქცა, ჩემი აზრით, ასევე სწორი იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯი. ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ პრობლემა არა რუსეთში, არამედ საქართველოს შიგნით არსებობს, „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი იყო ტერიტორია, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს ცენტრალური მთავრობა არ აკონტროლებდა, ამიტომ პრინციპული თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა. მესმის, ეს მტკივნეული საკითხია და ყოველთვის იარსებებს საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში, მაგრამ ქართველებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთი არ არის ბოროტმოქმედი, ამ პრობლემის გადაჭრა თავად ქართველების, ოსებისა და აფხაზების გარდა, არავის შეუძლია“, — ამბობს ნავალნი.

„ნიუპოსტს.გე“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

			7			8		
	1		9			5	4	
4			3		2	7		
		4						
5			1	7	4			8
						6		
		1	2		8			7
	8	6			7		9	
		5			3			

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	7							
			9			6		4
		4	3	8	2			
				5		4		2
	9			4			3	
5		7		3				
			6	1	8	7		
1		8			7			
							8	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

3								5
					5	3	8	6
	6			9	3			
7		1		6	8			4
5			4	7		8		1
			2	1			9	
2	4	8	9					
9								2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3		9		8				
6				9		5		
	5		2	3				9
	3					8		
9	8						2	7
		6					1	
2				5	6		4	
		5		4				8
				1		2		6

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ?

ზედმეტი შრომისმოყვარეობა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, — დაასკვნეს ბრიტანელმა სწავლულებმა. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან ირწმუნებიან, რომ 11-საათიანი სამუშაო დღის დროს ინფარქტის მიღების ალბათობა 70%-ით იზრდება. კვლევა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და მეცნიერები სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებს აკვირდებოდნენ. შედეგად, ცნობილი გახდა, რომ მათ, ვინც დღეში 11 საათს მუშაობს, გულის დაავადებების განვითარების რისკი ეზრდებათ, ამიტომ სწავლულებმა ზედმეტი შრომისმოყვარეობა ნიკოტინს, ალკოჰოლსა და ნარკოტიკს გაუთანაბრეს.

თვალის ფერი და ალკოჰოლი

ამერიკელმა მედიკოსებმა გაარკვიეს, რომ ადამიანის თვალის ფერი შესანიშნავი ინდიკატორია იმისა, თუ როგორ იტანს ის ალკოჰოლს. მკვლევარების ჯგუფის გამოკვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ღია ფერის (ცისფერი, ნაცრისფერი, მწვანე და ღია ყავისფერი) თვალის მქონე ადამიანები უფრო მეტ სპირტიან სასმელს მოიხმარენ, ვიდრე შავთვალა ადამიანები. სწავლულები 11 ათას მამაკაცსა და 2 ათას მანდილოსანს აკვირდებოდნენ და მათი აზრით, ამ ყველაფერს საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს — მუქი ფერის თვალის მქონეებს სასმელი მალე ეკიდებათ, ამიტომ ისინი ცდილობენ, შეამცირონ ალკოჰოლის დოზა, ღია ფერის თვალების მქონეებზე კი, სპირტიანი სასმელი, პირიქით, გვიან მოქმედებს და შედეგად, სწორედ მათ აქვთ მეტი შანსი, გახდნენ ალკოჰოლდამოკიდებულები. სწავლულებმა ეს პროცესი ბიოქიმიას დაუკავშირეს. ერთ-ერთი თეორიით, თვალებში მელანინის რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება მელანინის დონეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. მელანინი კი (გარდა სხვა თვისებებისა) ნერვული რეაქციების სიჩქარეზეცაა პასუხისმგებელი, ამიტომ ღია ფერის თვალების მქონეებს სწავლულები ურჩევენ, აკონტროლონ მიღებული სასმელის ოდენობა.

როგორ ამოვიცნოთ პოტენციური თვითმკვლელი

ადამიანის სისხლში არსებულ ბიომარკერებს შეუძლიათ აჩვენონ, დაასრულებს თუ არა ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით, — წერს ბრიტანული გამოცემა სპეციალისტების კვლევებზე დაყრდნობით. მეცნიერები ამბობენ, რომ ფერმენტი SAT1 პაციენტებში, რომელთაც ბიოპოლარული აშლილობა აქვთ, სუიციდურ მიდრეკილებებთანაა დაკავშირებული. ბიოპოლარულ აშლილობას ხასიათის მკვეთრი ცვლილება ახასიათებს და ამ დროს ამაღლებულ განწყობას უეცარი აპათია ცვლის. მკვლევარები აღნიშნავენ კიდევ სამ მარკერს, მაგრამ ისინი სუიციდთან ასე ძლიერად არაა დაკავშირებული. მკვლევარებმა ბიომარკერების მაღალი კონცენტრაცია დააფიქსირეს, ასევე იმ პაციენტების სისხლშიც, რომელთაც ფსიქიკური გადახრა აღენიშნებოდათ და კლინიკაში თვითმკვლელობის მცდელობის გამო მოხვდნენ. მეცნიერთა აზრით, მომავალში სუიციდის რისკის კლინიკურ და სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებსაც განსაზღვრავენ, ამას ემატება სისხლის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა, თვითმკვლელობის შესაძლებლობა ვიწინასწარმეტყველოთ, — აცხადებენ მკვლევარები.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	8	7	6	2	3	5	4	1
5	6	4	1	9	8	3	2	7
3	1	2	7	5	4	9	8	6
8	4	3	5	7	6	2	1	9
1	7	9	4	8	2	6	5	3
2	5	6	9	3	1	4	7	8
7	2	1	3	4	9	8	6	5
6	3	8	2	1	5	7	9	4
4	9	5	8	6	7	1	3	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7	9	2	6	5	4	3	1
3	5	1	4	9	8	7	2	6
4	2	6	3	7	1	5	9	8
2	4	8	1	5	9	6	7	3
1	6	7	8	3	4	2	5	9
9	3	5	7	2	6	8	1	4
7	8	4	9	1	2	3	6	5
6	1	3	5	8	7	9	4	2
5	9	2	6	4	3	1	8	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	1	8	2	6	5	9	4	3
4	6	5	3	1	9	8	7	2
3	2	9	8	7	4	1	6	5
9	8	7	6	5	3	4	2	1
1	5	4	9	2	8	7	3	6
6	3	2	1	4	7	5	9	8
8	4	1	7	3	2	6	5	9
5	9	3	4	8	6	2	1	7
2	7	6	5	9	1	3	8	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	8	6	5	2	7	4	3	1
1	5	4	3	9	6	2	8	7
3	7	2	4	1	8	6	5	9
5	6	3	2	4	1	9	7	8
4	2	7	9	8	5	3	1	6
8	1	9	6	7	3	5	4	2
6	4	8	1	5	2	7	9	3
2	9	1	7	3	4	8	6	5
7	3	5	8	6	9	1	2	4

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	1	2	9	8	7	6	5
2	9	8	6	7	5	1	4	3
6	7	5	4	1	3	2	8	9
8	6	7	5	4	2	3	9	1
3	5	2	1	8	9	6	7	4
9	1	4	3	6	7	5	2	8
1	8	9	7	5	6	4	3	2
7	4	3	9	2	1	8	5	6
5	2	6	8	3	4	9	1	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	6	5	9	8	3	2	7	1
3	2	7	4	6	1	9	8	5
1	9	8	5	7	2	6	4	3
9	1	4	3	5	8	7	2	6
6	5	2	1	9	7	8	3	4
7	8	3	2	4	6	5	1	9
8	7	1	6	3	9	4	5	2
2	4	9	8	1	5	3	6	7
5	3	6	7	2	4	1	9	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	4	3	6	8	5	9	2	1
9	2	1	4	3	7	5	8	6
8	5	6	2	1	9	7	3	4
6	3	2	1	5	4	8	9	7
1	9	8	7	6	3	4	5	2
5	7	4	9	2	8	6	1	3
3	6	5	8	4	2	1	7	9
2	1	9	5	7	6	3	4	8
4	8	7	3	9	1	2	6	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	4	7	2	1	5	3	9	6
5	6	3	9	8	7	4	2	1
2	1	9	6	4	3	5	8	7
6	5	4	8	3	2	1	7	9
1	7	2	5	9	4	8	6	3
3	9	8	1	7	6	2	5	4
4	8	1	7	2	9	6	3	5
9	3	6	4	5	8	7	1	2
7	2	5	3	6	1	9	4	8

მე-13 გვერდი: 1. დელი; 2. ზიჩი; 3. დარდიმანდიანცი; 4. დიაგრამა; 5. მრისხანე; 6. ცენტურია; 7. ტაპირი; 8. პავლოვნია; 9. იდეა; 10. ალვანი; 11. ორიფლამი; 12. ხარო; 13. აბსენტი; 14. ელდა; 15. რაველი; 16. ეოლე; 17. როლს; 18. ნომი; 19. აფრა; 20. როულინგი; 21. სოლ; 22. ვოდევილი; 23. ლორა; 24. პრინტერი; 25. სოფა; 26. პასიანსი; 27. ლაბა; 28. აკვა; 29. რა; 30. კორსიკა; 31. როტა; 32. ნუღლი; 33. პრევო; 34. ნეაპოლი; 35. მადამ; 36. ლიონი; 37. ბესიკი; 38. სსრკ; 39. აინტრახტი; 40. ნაი; 41. „დარდუბალა“; 42. „კია“; 43. „ლოენგრინი“; 44. შავი; 45. ნარინი; 46. აქსუ; 47. იალნო; 48. რკალი; 49. ვოკი; 50. ტბა; 51. დალაი; 52. ალკუნი; 53. მექისე; 54. გეგი; 55. დანი; 56. მოურავი; 57. ალსეკო; 58. კვირტი; 59. არენდა; 60. ფარია; 61. რქა; 62. სტოპ;’63. ალონსო; 64. ნაგანო; 65. სრა; 66. ასი; 67. ბორდო; 68. ნუნუ; 69. ბუდა; 70. რაბლე; 71. ნოდარ; 72. სახედარი; 73. ლანდაუ; 74. დაჰაუ; 75. ბრა; 76. ანტრე; 77. ჰანტეი; 78. რაბი; 79. უდი; 80. ცა; 81. იორი; 82. იასონ; 83. აღუ; 84. კაცია.

მე-16 გვერდი: 1. „დეკამერონი“; 2. იაბო; 3. ოფი; 4. ულუ 5. ეტა; 6. კლონდაიკი; 7. ირი; 8. სკანდინავია; 9. ევკლიდე; 10. ოკლენდი; 11. რკინა; 12. ფილატელია; 13. როტარუ; 14. კოლიბრი; 15. თირსოსი; 16. არსიანი; 17. კოტე; 18. თართი; 19. მატე; 20. „დინამო“; 21. ირაო; 22. იონი; 23. დმანისი; 24. თორა; 25. ლტოლვა; 26. „არიელი“; 27. არაბი; 28. კეა; 29. ელია; 30. ლამაზი; 31. ხილარი; 32. სალტო; 33. აგნი; 34. დიუბეკი; 35. უიარაღო; 36. რელსი; 37. სამიტი; 38. ლეია; 39. იაგო; 40. ლემა; 41. ნოხი; 42. გოია; 43. „დაისი“; 44. ბარნოვი; 45. ნიახური; 46. რემიზი; 47. ელი; 48. ისიკავა; 49. ივა; 50. ახო; 51. ისარი; 52. ესე; 53. „ვრანგლერი“; 54. გრუშე; 55. ემილი; 56. ჭური; 57. ჭა; 58. ხეკი; 59. რეტი; 60. ფირი; 61. ფისო; 62. ოსპი; 63. ჭიჭიკია; 64. ფოფოდია.

1. იაპონელი სამურაების თვით-მკვლელობის წესი
2. ფრანგი მხატვარი და სკულპტურ-ისტი
3. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
4. ხორცის წვრილი ნაჭრებისაგან მომზადებული სოუსიანი საჭმელი
5. ლაბორა-ტორ-იული ჭურჭელი
6. აღვირის მორთულობა ოქროსი ან ვერცხლისა
7. ვისიმე გარდაც. გამო გამოქვეყნებუ-ლი წერილი
8. დიდებულ-თა ტიტული ოსმალეთში
9. ზორო-ასტრიზმის წმინდა წიგნების კრებული
10. უმაღლესი ხელისუფლების სახელმ. ორგანო ძვ. რომში
11. ევროპის ჯუჯა სახ-ელმწიფო
12. დედამიწის განსახიერება ბერძნულ მი-თოლოგიაში
13. იგივეა, რაც ერ-ბოკვერცხი
14. ფარული დაცინვა
15.არაბული სახელმწიფო ახლო აღ-მოსავლეთში
16.არგენტ. ფეხბურთელი
17. ყურის ანთება
18. მაგარი ალკოჰოლური სასმელი
19. უსასყ-იდლოდ მომუშავენი მეზობ. ყანაში
20. ბრაზილ. ფეხბურთელი
21.ზევსის დედა
22. სახელმ-წიფო ჯილდო დამსახურე-ბისათვის
23. ლინდგრე-ნის ზღაპარი „ყარაღის ასული ...“
24. „ღვ-თაებრივი კომედიის“ ავტორი
25. წყლის სადენი სა-განგებო თხრილი
26. მატყლით გატენილი ქვესაგები
27. ტაივანის დედაქალაქი
28. ამერიკელი მომღერალი
29.მარკესის „მარტოობის ... წელიწადი“
30. იაპონელი მწერალი კობო ...
31. ვაზების მწკრივი ვენახში
32. სუსტი ქარი, სიო
33.ბოტანი-კის დარგი, სწავ-ლობს ხეებს და ბუჩქებს
34. საზაფხულო საძოვარი
35.შლიმა-ნის მიერ აღ-მოჩენილი ქალაქი
36.ზღაპარი „ალი ბაბა და ... ყაჩაღი“
37.ზღაპრუ-ლი ცხენი
38.მწერალი ... შენგელაია
39. შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ...“
40. თავდაცვ-ყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
41. ახალგაზ-რდა მატროსი
42. ხორციანი კორკოტი
43.თავაზიანი მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
44. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
45.ინდოეთის სულიერი ლიდერი ... განდი
46.ქრის-ტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
47. ისტორი-ული მესხეთის ნაწილი
48.იუდეის მეფე სოლო-მონის დედა
49. ინდური კობრა
50.თემურ ბაბლუანის ფილმი „უძინ-ართა ...“
51. ფაშატი ცხენისა და მამალი ვირის ნაჯვარი
52. სახოტბო ლექსი
53. ჯუჯა კამეჩი
54.„დედაო ღვთისავ, მზეო ...!“ (გალაკ-ტიონი)
55. ისრის წვერი
56. კორეული ავტომარკა
57. სკულპტურა „მოაზროვნის“ ავტორი
58. ღვინის სასმელი რქა
59. სასიყვარ-ულო პოეზიის მუზა
60. ცნობილი იტალიელი მხატვარი
61. ოიდიპოსის სამეფო
62. ნიგერის დედაქალაქი
63.მორაგბე ლევან ცაბაძის მეტსახელი
64. სოფელი სიღნაღის რაიონში
65. ამერიკე-ლი რეპერი
66. სახის მან-ჭვა განზრახ ან უნებლიეთ
67.გაზაფხუ-ლის ყვავილი
68.მსახიობი ... ნოლტი
69. ფიქის უჯრედში დაგროვილი ყვავილის ძტვერი
70.ოქროს ურდოს სარდალი
71. სამეურნეო მუშაკი
72.სიტყვათა წარმოქმის მანერა
73.ძლიერი მომწამლავი ნივთიერება
74. იაპონელთა ჯიბის ყუთი
75. ჰო-ლივუდის ვარსკვლავი ... იოვოვიჩი
76. დათა თუთაშხიას სამოქალაქო ფსევდონიმი
77. დაკო-დილი ცხენი
78.სოფელი ოზურგეთის რაიონში
79. „ბიჭი“- მე-გრულად
80.ბერძნუ-ლი ანბანის ასო
81. სამოქა-ლაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
82. სკანდინავი-ური მითოლო-გიის უზენაესი ღმერთი

ინტერნეტდამოკიდებულებისთვის კლინიკა გახსნეს

აშშ-ს პენსილვანიის შტატში, ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო პირველი სამკურნალო დაწესებულება გახდება, რომელიც ინტერნეტდამოკიდებულ პაციენტებს მიიღებს. კლინიკა უკვე მზადაა პირველი ავადმყოფების მისაღებად, რომლებსაც 10-დღიან სამკურნალო კურსს სთავაზობენ. პროგრამა კოგნიტიური ფსიქოლოგიის სპეციალისტე-ბმა იმ მეთოდოლოგიით შეიმუშავეს, რაც ალკოჰოლიზმისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის შემთხვევაში გამოიყენება. პროგრამა ჯგუფურ მეთოდს — ერთდროულად, 4 პაციენტის მკურნალობას ითვალისწინებს. სამკურნალო დაწესებულებაში ისინი ლოთებისა და ნარკომანების გვერდით მოთავსდებიან. პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვინც ინტერნეტდამოკიდებულების გამო, ვირტუალურ რეალობას თავს ვერ აღწევს და ყოველ-დღიურ ცხოვრებას ვერ აკონტროლებს. 10-დღიანი კურსის ღირებულება 14 ათასი დოლარია და ჯერჯერობით, მას ამერიკაში მოქმედი არც ერთი სადაზღვევო პაკეტი არ ანაზღაურებს.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — დღეს მოჭარბებული ენერგიით გამოირჩევით, ნუ დაკარგავთ ენთუზიაზმს. ეველაზე კარგი, რაც შეიძლება გააკეთოთ, სახლის კეთილმოწყობა ან ავეჯის გადაადგილებაა. ეს საქმე მოსაწყენი რომ არ იყოს, ოჯახის წევრებიც ჩართეთ.

ᲙᲣᲠᲘ — დღეს როგორც უნდა გინდოდეთ, დრო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ, სჯობს, ამას თავი აარიდოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კამათი გარდაუვალია, ასე რომ, სჯობს, განმარტოვდეთ და ბედნიერ მომავალზე იოცნებოთ.

ᲪᲣᲙᲔᲜᲘ — ტყუპებმა დღეს თავს უარი არაფერზე უნდა უთხრან, ზომიერების ფარგლებში, რასაკვირველია. ძალიან წაგადგებათ დასვენება მეგობრებთან ერთად, გასართობ კონკურსებში მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, დღის ბოლოს საჩუქარი მიიღოთ ნაკლებად ნაცნობი ადამიანისგან.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ერთ-ერთ შეხვედრაზე საინტერესო ნაცნობობა ელით მნიშვნელოვან ადამიანთან, რომელზეც იქნება დამოკიდებული მათი შემდგომი კეთილდღეობა. შეეცადეთ, ზედმეტი გაბრაზებისა და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეს სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ.

ᲚᲝᲛᲘ — დღეს ლომებს სიამაყე არ მისცემს უფლებას, საკუთარი საუკეთესო თვისებები და უნარები გამოავლინონ. სავსებით შესაძლებელია, სადამოს ინანოთ, ასეთი შანსი რომ გაუშვით ხელიდან. მაგრამ არ დირს, ხელი ჩაიქნიოთ, რადგან ნებისმიერი მცდელობა, უარეოფითიც კი, მეტ სიბრძნეს შეგძენთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — დიდია ალბათობა, რომ დღეს ქალწულებს სხვისი პრობლემების გადაჭრა, რჩევების მიცემა, რთული ვითარებიდან გამოსავლის პოვნა მოუწევთ. შესაძლოა, ასეთმა პერსპექტივამ არ აღგაფრთოვანოთ, მაგრამ დახმარებაზე უარის თქმას, ნამდვილად ვერ შეძლებთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — მთელი დღე თავგანსმცემელთა ყურადღების ცენტრში იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა და შარმი დამშვიდების უფლებას არ მისცემს ამ ადამიანებს. გაქვთ არჩევანი: ამ ვითარებიდან ან სარგებელი ნახოთ, ან ისე დაჭიროთ თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲘᲬᲐᲚᲘ — დღეს ვითარება გაიძულებთ, ფინანსებზე დაფიქრდეთ. შესაძლოა, რაიმე საინტერესო იდეა გაგიჩნდეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა, თუმცა, შესაძლოა, ეოფილი კოლეგებისგან ან ძველი მეგობრებისგან მიიღოთ საინტერესო წინადადება.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲜᲘ — მშვილდოსანი გადამწყვეტი მოქმედებებისთვის ან სერიოზული საუბრისთვის უნდა მოემზადონ. ამის ინიციატორი თქვენი ნაცნობი ადამიანი იქნება, თუმცა მთელი უბედურება ის არის, რომ სწორედ ახლა არ ხართ მზად მოგლენების რადიკალური ცვლილებებისთვის. სჯობს, კარგად მოემზადოთ ან დრო გაწელოთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — სახლის საზრუნავი იძულებულს გაგხდით, დღევანდელი გეგმები შეცვალოთ. არ არის გამორიცხული, რომ საინტერესო ვახშამზე მოგიწიოთ უარის თქმა, მაგრამ ეს „მსხვერპლი“ ამად ღირს.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწუნულებს დღეს დაუოკებელი ფანტაზია შემოქმედებითი პროცესის მიუწვდომელ მწვერვალამდე აიყვანს. მთავარია, რეალობის ადექმა არ დაკარგოთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენთვის ნერვების მოშლას, მაგრამ შეძლებთ, ეველა წინააღმდეგობა გადალახოთ და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. თვალი მიადევნეთ გარშემომყოფების ქცევებს. ახლა შესანიშნავი შანსი გაქვთ, თქვენი ნაცნობების ნამდვილი სახე შეიცნოთ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ნიღაბს ირგებდნენ.

შარიანი ქირურგი ოცნების ქალს ეძებს

ნიუ იორკელი წარმატებული ოფთალმოლოგი და პლასტიკური ქირურგი ემილ ჩინი პირობას დებს, რომ 10 ათას დოლარს გადაუხდის მას, ვინც ოცნების ქალს გააცნობს. ქირურგი თანხას ან უფასო პლასტიკურ- კოსმეტოლოგიურ პროცედურებს სთავაზობს ქალს, რომელიც მასთან პაემანს დასთანხმდება. ემილი ქალაქის პრესტიჟული კლინიკის მფლობელია, სადაც თვალისა და პლასტიკური ოპერაციები ტარდება. მას შემდეგ, რაც ათეულობით ათასი დოლარი დახარჯა მაჭანკლებზე და სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, 47 წლის ექიმი მზადაა, ქალთან პირველ პაემანში თანხა გადაიხადოს. დოქტორი ჩინი დეტალურად აღწერს იმ მოთხოვნებს, რასაც მისი ოცნების ქალი უნდა აკმაყოფილებდეს. მედიკოსის თქმით, მისი იდეალი გამხდარი, თეთრი გოგოა, 27-დან 35 წლამდე ასაკის, აშშ-ს პრესტიჟული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული; უნდა იყოს ქრისტიანი, საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილებით, უნდა ცხოვრობდეს ქალაქში, რომლის მოსახლეობაც ერთ მილლიონს აღემატება და უნდა უყვარდეს ძაღლები. ქირურგის თქმით, შესაფერისი კანდიდატებისგან გამოხმაურება ძალიან მცირეა, მხოლოდ ორი „რეზიუმე“ განიხილა და არც ერთმა არ მოხიბლა. გიჟი არ ვარ, უბრალოდ, ჩემი შესაფერისი გოგონას პოვნა მინდა, რომელსაც ისეთი ვეყვარები, როგორიც ვარ, — აცხადებს დოქტორი ჩინი.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ეველა საკამათო საკითხში და თქვენი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ.

ᲙᲣᲠᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე, მთლიანობაში, სასიკეთოა. თუ იშრომებთ, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. დაწყებული საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები და რჩევები.

ᲪᲣᲙᲔᲜᲘ — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მაინც საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მომართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტევთ უარს. საქმე არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს ნათქვამ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სტელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი.

ᲚᲝᲛᲘ — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში, კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა შესაძლოა, ბრენდია ან პონორარი მიიღოს. დღეს რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ქალწულებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებსა და ხელქვეითებთან.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, თავაზიანობა და მომხიბვლელობა მოგეთხოვებათ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, ჯანმრთელობასაც მიაქციონ ყურადღება. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგეგმილი შეხვედრები ჩაგეშალოთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲘᲬᲐᲚᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ფინანსური დანაკარგის დღე აქვთ— ეველაფერი კი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲜᲘ — დღეს დაგეგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გეოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები განსაკუთრებულ ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონეთათვის. ფინანსების მხრივაც დღე საკმაოდ კარგად ჩაივლის, საღამოს კი შეეცადეთ, მეგობრებს შეეხმიანოთ და ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ მათ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწუნულებს დღეს მშვიდად და წესრად ეოფნა მოეთხოვებათ. სასიამოვნო აღმოჩნდება ურთიერთობა უფროს ნათესავებთან, დღის მეორე ნახევარში კი მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ.

მთვარეულმა ღამით მანქანით იარა

ახალზელანდიელმა მთვარეულმა ქალმა, საკუთარი ავტომობილით 300 კილომეტრზე მეტი გაიარა, გაჩერებულ ავტომანქანაში ტკბილად ჩაძინებული კი გამთენიისას, სახლიდან შორს, ოკეანის სანაპიროზე იპოვეს. აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი ადრე ამ სანაპიროს მახლობლად ცხოვრობდა. როგორც ჩანს, მას მონატრებული ადგილების მონახულება ძალიან სურდა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მძინარე მძღოლმა ამ საკმაოდ გრძელი გზის დასრულებამდე, ქვეყნის ყველაზე დიდ ქალაქში — ოკლენდში შევლაც მოახერხა. გაღვიძების შემდეგ ქალს არაფერი ახსოვდა. იღბლიანი მთვარეულის გადაადგილება და სასნაულებრივი გადარჩენა გზებზე დამონტაჟებულმა ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს. მძღოლმა მთელი გზა ისე გაიარა, რომ არც ავტოსაგზაო შემთხვევა მოსვლია და საგზაო მოძრაობის წესებიც კი არ დაურღვევია.

სუდოკუ

ადვილი

		7						8
6			2			1		
9	8		3			4		
	6		1			5	8	
		9	8		7	6		
	7	8			4		2	
		6			2		1	4
		5			6			3
2						8		

სტანდარტი

				9				2
7				5	4			
1			3				7	
		5				7	2	8
2	8						4	5
6	7	4				3		
	6				1			4
			5	6				1
5				3				

რთული

						7		
5	8	7		4				
	3						6	4
	2		1	8		9		3
	4		2		6		8	
7		8		5	3		4	
2	5						9	
				3		4	2	5
		4						

ექსპერტი

							8	7
9			5					
	2	1	9			5	6	
4	1					3		
			1	8	3			
		9					5	2
	6	7			2	8	9	
					7			5
2	5							

ყავა კანის კიბოსგან დაგიცავთ

ყავის სასარგებლო თვისებების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია, ერთ-ერთი მათგანი ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმაც აღმოაჩინეს — ისინი მიიჩნევენ, რომ კოფეინს შეუძლია, კანის კიბოს განვითარების რისკი შეამციროს. მათი გამოკვლევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოფეინი ერთდროულად იცავს კანს ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისგან და უკვე დაზიანებული უჯრედები თვითგანადგურებისკენ მიჰყავს. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში, ყავა გასარუჯი კრემების შემადგენლობაში შევიდეს. სწავლულებს ახლა ის აქვთ გასარკვევი, როგორ იცავს კანს ყავა ულტრაიისფერი სხივებისგან, რადგან კოფეინი ზემოქმედებს მხოლოდ დასხივებით დაზიანებულ უჯრედებზე და აღადგენს პროტეინის ფუნქციას. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მათ კანზე ყავისშემცველი პრეპარატების წასმა სიმსივნური დაავადების განვითარებას 72%-ით ამცირებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეში დიდი რაოდენობით ყავა უნდა ვსვათ.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროს „გამყინვარება" ელის

2015 წლიდან დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში კლიმატი თანდათან შეიცვლება და ის სიცივისკენ გადაიხრება, — ასეთ დასკვნებს იაპონიის ზღვის კვლევების ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი ნაკამურა აკეთებს, რომელიც წყლის ტემპერატურის ცვლილებას სწავლობდა გრენლანდიის ზღვაში, 1957 წლიდან დღემდე. ნაკამურას თქმით, ტემპერატურის რყევები კარგი ინდიკატორია იმ ცვლილებებისა, რომელიც საშუალოდ, 70 წელიწადში ერთხელ ხდება ატლანტის ოკეანეში თბილი და ცივი დინებების მიმართულებით. მსოფლიო კლიმატის ცვლილებასთან ამ მონაცემების შეთავსებით, მეცნიერმა დაადგინა, რომ კლიმატის დათბობის მორიგი ციკლი ორ წელიწადში ანუ 2015 წლისთვის დასრულდება და მას ცივი კლიმატი ჩაანაცვლებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰაიტელებმა ელი-ქორწილი ჩაშალეს

კუნძულ ჰაიტის მცხოვრებნი ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ დაირაზმნენ და „წითელი ჯვრის" თანამშრომლის ქორწილი ჩაშალეს. მათ ცერემონიალის მონაწილეებს „მოლოტოვის კოქტეილები" დაუშინეს, რის შემდეგაც საქორწინო ავტომანქანებს ცეცხლი გაუჩნდა. უცხოური მედიის ცნობით, ახალდაქორწინებული წყვილი და მათი სტუმრები გარდაუვალი სიკვდილისგან მხოლოდ პოლიციის ჩარევამ იხსნა. ინციდენტი ჰაიტის დედაქალაქ პორტო-პრენსში რამდენიმე დღის წინ მოხდა. სექსუალური უმცირესობების ადგილობრივმა მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა ჰაიტელების აგრესიას გაუმართლებელი უწოდეს და მათ იმედი გამოთქვეს, რომ დამნაშავეებს ხელისუფლება საკადრისად დასჯის. დაზარალებული წყვილის ვინაობა არ ხმაურდება, რადგან შიშობენ, რომ თანამემამულეები სასტიკად გაუსწორდებიან. აღსანიშნავია, რომ ჰაიტიზე ერთსქესიანი ურთიერთობები ჯერ კიდევ 1986 წელს გახდა ლეგალური, თუმცა ამის მიუხედავად, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს აქ მაინც არ სწყალობენ.

ლონდონური ტაქსი საუკეთესოა

ინტერნეტ-პორტალ Hotels.com-ის გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიოში ყველაზე უკეთ კლიენტებს ლონდონური ტაქსები ემსახურება. რესპონდენტებმა ისეთი კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს, როგორიცაა მძღოლების ზრდილობა და მანქანის სისუფთავე. ლონდონური ტაქსები გამოკითხულებმა ყველაზე უსაფრთხოდ მიიჩნიეს და ისიც გაირკვა, რომ ტაქსის ყველაზე უხეში მძღოლები პარიზში დადიან, ყველაზე ჭუჭყიანი მანქანები კი საბერძნეთში, ათენელ ტაქსისტებს ჰყავთ. ნიუ იორკელმა მძღოლებმა ყველაზე ცუდად იციან ქალაქი, ტაქსით მგზავრობა კი ყველაზე საშიში ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ყოფილა.

ხმა და ფერი საქმლის გემოს ცვლის?

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, იმ ხმებს, რაც ადამიანს ჭამის დროს ესმის, შეუძლია, საკვების გემო შეცვალოს. სწავლულები იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ პროდუქტის ფერსაც ასევე შეუძლია, გავლენა მოახდინოს გემოს აღქმაზე. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანის მხედველობასა და სმენაზე ზეგავლენით, საკვებს გემო ეცვლება, მაგალითად, ზღვის ტალღების ხმა ზღვის პროდუქტების გემოს ამკვეთრებს... რაც შეეხება ფერს, თუ მაგალითად, სასმელს მკვეთრად წითელი ფერი ექნება, ადამიანს ის 12%-თ უფრო ტკბილი მოეჩვენება.



შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

საკუთარ ქორწილს შეენირა

ტრაგედიით დასრულდა ქორწილი ტაივანზე — სიძემ ძალიან ბევრი სპირტიანი სასმელი მიიღო და გადაყვა კიდეც. როგორც ადგილობრივი პოლიცია აცხადებს, მან ალკოჰოლური მოწამვლა მიიღო. 35 წლის მამაკაცმა საკუთარ ქორწილში, რომელიც ტაიბეის ერთ-ერთ რესტორანში გადაიხადა, დიდი რაოდენობით ღვინო და ლუდი დალია, კარგადაც იმხიარულა და როცა ახალშერთულ მეუღლესთან ერთად სახლში დაბრუნდა, თავი შეუძლოდ იგრძნო. იგი სასწრაფოდ უახლოეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მაგრამ ვეღარაფერი უშველეს — მამაკაცი გარდაიცვალა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.